


საქართველოს



იმისთანა წმინდა საცემში, ბოგთბიც ბეჭდუბი სიფყაა, ფყილებით და ჭბბბბით ბუბბის გაცანა ყუულა უკადბბბბბბ უსაბბბბბბ.


დაარსებულია
 1918 წელს.
 

ხუთშაბათი, **21** მაისი, 2015 წელი.
 №92 (7737)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge **ვებ გვერდი: www.sakresp.ge** **ფასი 50 თეთრი.**

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისს

7

ბარაკ ობამა ირაკლი ღარიბაშვილს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ულოცავს



„ქვირფასო პრეზიბირ-მინისტრო, საუკეთესო სურვილებით გილოცავთ თქვენ და ქართველ ხალხს 26 მაისს – საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს. ჩვენს ქვეყნებს აკავშირებს მტკიცე, აქტიური და სტრატეგიული პარტნიორობა. ამერიკის შეერთებული შტატები ამაყობს, რომ შარშან მხარი დაუჭირა საქართველოს, როდესაც თქვენს ქვეყანაში ჩატარდა ადგილობრივი არჩევნები, ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულებას და საქართველომ მიიღო ნატოს არსებითი პაკეტი. ჩვენ დღესაც მტკიცე მხარდაჭერას ვუცხადებთ საქართველოს დემოკრატიულ და ეკონომიკურ განვითარებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ევროატლანტიკური ინტეგრაციისა და ახალი სავაჭრო და საინვესტიციო შესაძლებლობების უზრუნველყოფისთვის. რეგიონში გამონწვევებით აღსავსე მოვლენების ფონზე, ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით, რომელიც მიმართულია საქართველოს დემოკრატიისა და გლობალური უსაფრთხოების განმტკიცებისკენ. ჩვენ ვაფასებთ და პატივს ვცემთ თქვენს მებრძოლებს, რომლებიც მონაწილეობენ მისიებში ავღანეთსა და მსოფლიოს სხვა რეგიონებში. მადლობას მოვახსენებთ საქართველოს იმ წვლილისთვის, რომელიც მას შეაქვს ტერორიზმთან და სხვა გამონწვევებთან ბრძოლაში, რომლებიც საფრთხეს უქმნიან გლობალურ მშვიდობასა და სტაბილურობას. გულწრფელად გილოცავთ დამოუკიდებლობის დღეს“, – ნათქვამია ბარაკ ობამას მილოცვაში.

დენი მართლა გაკვირდება?

ტარიფების მორიგ გაზრდას ხალხი ვეღარ აიბანს!

5

სუპერმარკეტებში პირველადი მოხმარების საბნებზე ფასები საბრძნობლად გაიზარდა!

11

სად სააკაშვილი და 3 სად ბიზნესსამართალი

„ქარბამილის ქარხნის პროექტში ჩადებული იყო წინა ხელისუფლების წარმომადგენლის პირადი ინტერესი“

„ვარდთა და ნახვთა ვინათბან მზა სწორად მოეფინებინს!“

იუსტიციის სალიდან ნაბვის 3 გაბანა ნაბავი ნუსიონალების ბოლომდე გაბანას არ ნიშნავს!



რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვებბან ვერ ნახავ!..

თამარ სანიკიძე პანკისის სკოლის სკოლებს ეწვია

შხვედრებზე მოსწავლეებს, მათ მშობლებს და პედაგოგებს სკოლის სკოლებში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული და ახალი სასკოლო პროექტები გააცნეს. სამინისტროს ხელმძღვანელმა პირებმა სკოლის

სკოლა ფუნქციონირებს 1430-მდე მოსწავლითა და 183 მასწავლებლით. აქედან 5 სკოლაა, სადაც ეთნიკური ქისტები და ჩეჩნები სწავლობენ, სწავლა აქ ქართულ ენაზე მიმდინარეობს, ერთ სკო-



წარმომადგენელთა შეკითხვებზე უპასუხეს და მათი საჭიროებებიც დაინტერესდნენ. დონისიების ფარგლებში სკოლებს ასევე გადაეცათ მხატვრული ლიტერატურა ბიბლიოთეკებისთვის და კომპიუტერები. პანკისის სკოლაში 7 საჯარო

ლაში რუსული სექტორი ფუნქციონირებს. „სკოლების ხელმისაწვდომობის ქვეპროგრამაში“ 5 სკოლაა ჩართული და შესაბამისად, ამ სკოლის მოსწავლეები სატრანსპორტო მომსახურებით სარგებ-

ლობენ. 2013-2014 წლებში სკოლის სამ სკოლას ნაწილობრივ რეაბილიტაცია აქვს გავლილი, ორი სკოლა სრულადაა რეაბილიტირებული, სკოლები ასევე აღჭურვილია ახალი ინვენტარით, ყველა საჯარო სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტმომსახურებით.

რაც შეეხება ახალ სასკოლო პროექტებს, ამ ეტაპზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლის სკოლების მიერ წარმოდგენილ 6 სასკოლო პროექტს დააფინანსებს:

დუისის სკოლა – „თექის დამუშავების შესწავლა“ და „სახელოვნებო განათლება“ (ხალხური ცეკვისა და სიმღერის წრეები);

დუმასტურის სკოლა – „გამოვადლინოთ ნიჭიერი ფეხბურთელი“ (ფეხბურთის წრე) და – „დავეფულოთ ხელოვნებას“ (ხალხური ცეკვისა და სიმღერის წრეები);

ბირკინის სკოლა – „სახელოვნებო განათლება“ (ხალხური ცეკვისა და სიმღერის წრეები);

ჯოჯოლოს სკოლა – „სახელოვნებო განათლება“ (ხალხური ცეკვისა და სიმღერის წრეები);

სკოლის ყველა სკოლა ჩაერთვება პროექტში „კინო სკოლაში“, რომელსაც განათლების სამინისტრო კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან ერთად ახორციელებს.

ზემოაღნიშნულ სკოლებსა და სკოლის დარჩენილ ორ სკოლაში დამატებით ექვსი პროექტის დაფინანსება იგეგმება.

ბარამოს ეროვნულ სააგენტოს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

ბარამოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა გარემოს ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებს ხელმძღვანელის პოსტზე თამარ ბაგრატიას წარუდგინა.

გარემოს ეროვნული სააგენტოს ახალი ხელმძღვანელის პრიორიტეტებია საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, ახალი ნოვაციებისა და ტექნოლოგიების დანერგვა.

თამარ ბაგრატიას დამთავრებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პოლიტოლოგიის სპეციალობა; მაგისტრატურა – გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი. თამარ ბაგრატიას სხვადასხვა დროს ჩართული იყო რამდენიმე პროექტში. არის ექსპერტი გენდერის საკითხებში.



შენიშნა ახალი ქვესაღებრი

„საპარტიზოლო სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ „რეგიონალური ელექტროგადამცემის გაუმჯობესების პროექტის“ ფარგლებში, ქვეყნის ენერჯეტიკისთვის მნიშვნელოვანი, ახალი, 220/110 კვ-იანი ქვესაღებურის „ხორგა“ მშენებლობის პროექტის განხორციელება დაიწყო.

პროექტი „აზიის განვითარების ბანკის“ ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება და მისი ღირებულება 11,9 მლნ ევროს შეადგენს. სამშენებლო სამუშაოებს ავსტრიული კომპანია „შეიგენსი“ აწარმოებს. პროექტის განხორციელების ამ ეტაპზე დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობიდან 10 ადამიანი, მათი რაოდენობა გაიზარდება პროექტის მშენებლობის შესაბამისად. სამუშაოების დასრულება 2016 წლის პირველ ნახევარში იგეგმება.

მიმდინარე წლის აპრილში

2981 დანაშაულია რეგისტრირებული

ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ სტატისტიკურ მონაცემებშია აღნიშნული. შს-ს ინფორმაციით, აპრილის თვეში დარეგისტრირებული შემ-

თხვედრების ცნობით, 2015 წლის აპრილის თვეში შს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებულია 1958 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 1102 დანაშაული.

„დანაშაულის გახსნის მაჩვენებელია 56.28%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის კლებაა – 8.68%.

სამინისტროს აპრილის თვის მონაცემებით ერთად, იანვარ-აპრილის დანაშაულის სტატისტიკას აქვეყნებს. გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, 2015 წლის იანვარ-აპრილის თვეებში საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყების მიერ რეგისტრირებულია 11787 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 6226 დანაშაული.

„დანაშაულის გახსნის მაჩვენებელია 52.82%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის კლებაა – 12.91%“.



თხვედრებიდან გაიხსნა 1277 დანაშაული.

დანაშაულის გახსნის პროცენტული მაჩვენებელია 42.84%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა – 7.22%.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ასევე აქვეყნებს დანაშაულის სტატისტიკას შს-ს ტერიტორიული დანაყოფების მონაცემებს საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით.

ინფორმაცია

აფეთქებას მსხვერპლი მოჰყვა

ოქუპირებული ცხინვალის რეგიონში, სოფელ კეხვის სკოლასთან, ორი ადგილობრივი მცხოვრები ნალმზე აფეთქდა.

ორივე დაშავებული მძიმე ტრავმებით საავადმყოფოში გადაიყვანეს. ერთ-ერთი მათგანის გადარჩენა კი ექიმებმა ვერ შეძლეს. შემთხვევის ადგილზე საგამოძიებო ჯგუფი მუშაობს.

არსებული ინფორმაციით, სკოლა, რომელთანაც ნალმი აფეთქდა, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ არ ფუნქციონირებს. საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ აუფეთქებელი ნალმი კეხვში აგვისტოს ომის შემდეგ დარჩა.



დაუბრუნებელი ბავშვის სისოხლის გადასარჩენად იბრძვის

ნაძალადევის რაიონის მავორიტარი დეპუტატის ზაზა კოლეღიშვილის შუამდგომლობით, დეპუტატის სამავორიტარო რაიონში მცხოვრები 13 წლის მარიამ კასტიუნს გერმანიაში გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა. გოგონა, დედასთან ერთად, დეპუტატმა გერმანიაში პირადად გააცილა.

მათივე ინფორმაციით, ნაძალადევის რაიონში მცხოვრებმა სოციალურად დაუცველმა კასტიუნების ოჯახმა დეპუტატს ერთადერთი შვილის დასახმარებლად მიმართა. მარიამი იშვიათი სენით – არტერიოვენური მალფორმაციით არის დაავადებული და მისთვის ოპერაციის ჩატარება სასიცოცხლოდ აუცილებელია.

ჯერ კიდევ ოთხი თვის წინათ მარიამი სკოლაში დადიოდა, თუმცა, დაავადება სწრაფად პროგრესირებდა, რის შედეგადაც მან სკოლაში სიარული ვეღარ შეძლო.

ზაზა კოლეღიშვილმა, კასტიუნების ოჯახს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მერიის შესაბამის სამსახურებთან უშუალოდ გომლა. შედეგად, მარიამის ოპერაციისათვის საჭირო თანხა 10 000 ევრო ჯანდაცვის სამინისტრომ გამოყო, ხოლო მგზავრობისა და სხვა ხარჯების ანაზღაურება ქალაქის მერიამ უზრუნველყო.



ჯანმრთელობის დაცვა

ონკოლოგიურ-ინფექციური ჰოლდინგი

თბილისში მდებარე 3 დიდი საავადმყოფო სპეციალურად შეიქმნა სახელმწიფო მფლობელობაში. ინფექციური უკვე დაინტეგრირდნენ, კონკრეტული კი უახლოეს პერიოდში გამოცხადდება.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს ინფორმაციით, ონკოლოგიური, რესპუბლიკური და ბავშვთა ინფექციური საავადმყოფო კერძო, სახელმწიფო პარტნიორობის ერთ მძლავრ მოდელად ჩამოყალიბდება. ამ პროექტში მონაწილეობით 10-ზე მეტი მსხვილი ინვესტორია დაინტერესებული და კონკურსი უახლოეს პერიოდში გამოცხადდება. პირველი შედეგები უკვე ზაფხულის დასაწყისში იქნება.

რაც შეეხება ამ პროექტში „საპარტნიორო ფონდის“ მონაწილე-



ობას, დავით სერგეენკომ დაადასტურა, რომ „საპარტნიორო ფონდი“ პროექტში მენეჯმენტის კუთხით მონაწილეობს. „ასეთი ტიპის ქონებრივი მართვისა და ვალდებულებების განხორციელების კუთხით „საპარტნიორო ფონდს“ ბევრად მეტი გამოცდილება აქვს, ვიდრე – ჯან-

დაცვის სამინისტროს“, – განაცხადა სერგეენკომ.

სამი საავადმყოფოს გაერთიანების შესახებ რამდენიმე კვირის წინათ გახდა ცნობილი. რეკონსტრუქცია, რომელიც უახლოესი სამი თვის განმავლობაში დაიწყება, გულისხმობს კლინიკების აღჭურვას, მართვასა და მენეჯმენტის სახელმწიფო პარტნიორობის მოდელზე მორგებას. გარდა ამისა, ამ პერიოდის განმავლობაში მოხდება სახელმწიფო პროგრამების მოქმედი 130-მილიონიანი ბიუჯეტის ეფექტურობის მართვის რევიზია და მათი მორგება ახალ გამოწვევებზე, რათა მოსახლეობამ მეტი შედეგი მიიღოს.

„მოსამზადებელი ფაზიდან ჩვენ საბოლოოდ გადავიდით მოქმედ-

ბაზე. გავაფორმეთ თანამშრომლობის მართლაც პროფესიონალური გუნდთან, რომელთან ერთადაც შეგვეძლება, რომ გავზარდოთ ხარისხი ხელმისაწვდომობასთან ერთად და მინიმალური გახდეს იმ პაციენტების რაოდენობა, რომლებიც საზღვარგარეთ მკურნალობენ. ამ მიმართულებით ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა, სამუშაო გვაქვს, რომლის რეალიზაციასაც, ვფიქრობთ, უახლოესი თვეების განმავლობაში შევძლებთ.

იმედია, ეს ახლებური მოდელი საშუალებას მისცემს ქართულ ჯანდაცვის სისტემას, რომ მართლაც გახდეს მაღალი ხარისხის, მაღალი კლასის და ევროპული სტანდარტების შესაბამისი. პირველი შედეგების მიხედვით, მედიკამენტები გახდება უკვე ბევრად ხელმისაწვდომი მოსახლეობისთვის, ეს იქნება უახლოესი თვეების

საქმე. დაიწყება სამი მძლავრი კლინიკის რეკონსტრუქცია – რესპუბლიკური საავადმყოფოს, ონკოცენტრისა და ხილიანის ბავშვთა ინფექციურის როგორც აღჭურვა, ასევე მართვა და მენეჯმენტი იქნება სწორედ ამ მოდელზე დაფუძნებული, ანუ სახელმწიფო პარტნიორობის მოდელზე და გარდა ამისა, ამ პერიოდის განმავლობაში მოხდება სახელმწიფო პროგრამების ბიუჯეტის მოქმედების რევიზია და მორგება ახალ გამოწვევებზე იმიტომ, რომ უფრო მეტი რეალური შედეგი მიიღოს მოსახლეობამ“, – განაცხადა დავით სერგეენკომ.

და რაც მთავარია, მთავრობა არ აპირებს ამ კლინიკების გახიფვას. ლაპარაკია მსოფლიოში აპრობირებულ, ე.წ. თანაბარ-საბოლოო პრინციპზე, რათა სახელმწიფო შეინარჩუნოს საკუთარი პოზიციები ჯანმრთელობის დაცვის სტრატეგიულ ოპიქტაში.

ზაზა დანელია

305 - ვის?

რიგის სამიტის ნაკლებად ოპტიმისტურ შედეგებს პრორუსული ძალები სთავისობდ ბაიკოვს

საბარტემელოში, ბოლო პერიოდში, პრორუსული ძალები გააქტიურდნენ. ნაციონალური მოძრაობა ამაში ბრალს ხელისუფლებას დებს და პრორუსულ ძალებთან კავშირში ადანაშაულებს. „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის“ მიერ გამოქვეყნებულმა კვლევამაც დაადასტურა, რომ ქვეყანაში რუსეთთან ინტეგრაციის მხარდამჭერთა რიცხვი მატულობს - რესპონდენტთა 31% ევრაზიულ კავშირში განვიხილავთ მომხრეა. რას უკავშირდება საქართველოში პრორუსული ძალების გააქტიურება, როგორ უნდა იმოქმედოს არსებულ სიტუაციაში მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ? - „პინ-პინ-პინ“ პოლიტოლოგი ანა ბობოქარიძის ინტერვიუ.

ბატონო კახა, თქვენ რას უკავშირებთ ქვეყანაში რუსული ძალების გააქტიურებას?

ვფიქრობ, ასეთი პროცენტული მაჩვენებელი უკავშირდება კითხვის ფორმულირებას, თუ როგორ იყო დასმული შეკითხვა. თუმცა, პრორუსული ელემენტები, განწყობები მოსახლეობაში გაზრდილია, რადგან საკმაოდ აქტიურად მუშაობს ამ კუთხით პროპაგანდისტული მანქანა. ამავე დროს, რეგიონებში აქტიურად უყურებენ რუსულ არხებს, რომელიც ერთგვარ გავლენას ახდენს მოსახლეობაზე. იმ ფონზე, როცა ინტენსიურად ხდება ევრაზიული კავშირის პროპაგანდა, ბევრს არ ესმის, რომ ევრაზიული კავშირი შეუთავსებელია ევროპული ინტეგრაციის იდეასთან. ჰგონიათ, შეგიძლია, განვიხილოთ ევრაზიული კავშირი, კარგად იყო რუსეთთან და ამავე დროს, ევროკავშირისკენ იარო და იქ განვივრდეთ.

პრორუსული ძალების გააქტიურების ერთ-ერთი მიზეზი ისიც ხომ არაა, რომ ხელისუფლება სათანადოდ ვერ ახდენს მოსახლეობის ინფორმირებულობას იმ სარგებლის შესახებ, რასაც ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრაცია ითვალისწინებს, ამ მიმართულებით რამდენად ხედავთ პრობლემას მთავრობის ქმედებებში?

ამ მიმართულებით ხელისუფლებას სტრატეგია შემუშავებული აქვს, მაგრამ მას სჭირდება ბევრად უფრო მძლავრი დაფინანსება, ბევრად უფრო მეტი ლონისძიებები, მათ შორის, სატელევიზიო გადაცემები, კონფერენციები, რაც, ჯერჯერობით, მწირია იმ ფონზე, როცა რუსეთის მხრიდან ხდება ყველანაირი ტყუილის პროპაგანდა. მცირე მენარმისთვის რუსეთის ბაზარზე მოხვედრა უფრო მარტივია, ვიდრე ევროპული ქვეყნის ბაზარზე, რადგან რუსეთის ბაზარი გეოგრაფიულადაც უფრო ახლოა, მანქანით წასვლა შეუძლია, ეს ყველაფერი ქმნის გარკვეულ კონკრეტულ პირობებს საქართველოში ევრაზიული კავშირისთვის. ამიტომ, საჭიროა მოსახლეობისთვის არა მარტო ევროკავშირის შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდება, არამედ იმის კარგად ახსნა უნდა მოხდეს, გრძელვადიან პერსპექტივაში რა შედეგებს მოუტანს ევრაზიული კავშირი საქართველოს, თუ ორიენტირებული არ ვიქნებით ევროპისკენ.

თუ რიგის სამიტზე საქართველომ ვიზალიზირებული საკითხთან დაკავშირებით კონკრეტული შედეგი არ მიიღო, ეს ერთგვარად საქართველოს მოსახლეობის განწყობებს ხომ არ გამოიწვევს, რასაც შემდგომ ევრაზიულ კავშირში ინტეგრაციის მსურველთა რიცხვის გაზრდა მოჰყვება?

გარკვეული სკეპტიციზმი შეიძლება, გამოიწვიოს და ამას გამოიყენებენ ევროკრიტიკოსები. მათი სტრატეგია არის აწყობილი ზუსტად იმაზე, რომ - აი, თქვენ ევროკავშირში მაინც ვერ შედის, ევროპას არ სჭირდება, ისევე ჩვენც უნდა გამოიხედოთ, ჩვენ გთავაზობთ სამუშაო ადგილებს რუსეთში, ვაჭრობას, თავდაუსხმელობის გარანტიას, შეიძლება, დაგიბრუნოთ ტერიტორიები და ა.შ. ცხადია, ამ კონტექსტში ნებისმიერი სახის ნაკლებად ოპტიმისტურ განცხადებას თუ მოვისმენთ რიგის სამიტზე, ამას ევროკრიტიკოსები სათავისოდ გამოიყენებენ. ამიტომ, უნდა ვეცადოთ მაქსიმალურად ხელი შევეწყოთ საზოგადო-

ებაში ოპტიმისტური განწყობების გაღვივებას ევროკავშირთან მიმართებაში.

პრეზიდენტის განცხადებით, პროდასავლური იდეების პროპაგანდისთვის პარტიებმა რომლებიც მხარს უჭერენ ქვეყნის პროდასავლურ კურსს, უფრო მეტი კონსოლიდაცია უნდა გამოიჩინონ. იზიარებთ მარგველაშვილის პოზიციას და ხედავთ თუ არა ამ მიმართულებით პოლიტიკური ძალების უფრო მეტი გააქტიურების საჭიროებას?

ორი აზრი არ არსებობს, რომ საჭირო და აუცილებელია იმ პოლიტიკური ძალების კონსოლიდაცია რომლებიც პროდასავლურები არიან. ეს უფრო ადრე უნდა მომხდარიყო, მაგრამ, როგორც ჩანს, სანამ ძალიან არ შეეშინდებათ, ამას არ გააკეთებენ. იგივე, კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ არიან როგორც პრორუსული, ისე პროდასავლური პოლიტიკური ძალები, ამიტომ გაჭირდება ამ პლატფორმაზე კონსოლიდაცია, მაგრამ მაინც უნდა მოახერხონ იმ პოლიტიკური ძალების დემონსტრირება, რომლებიც პროდასავლურები არიან და, რა თქმა უნდა, უნდა განისაზღვროს მათი დღის წესრიგიც.

ნაციონალური პრორუსული ძალების გააქტიურებაში ხელისუფლებას ადანაშაულებენ, თქვენ ხედავთ მმართველი გუნდის როლს ამ საკითხში?

„ქართული ოცნება“ პრორუსულ ძალებს არ აღიქვამდა და ახლაც არ აღიქვამს თავის საზიანოდ, რადგან ეჭრობს - მათი ქმედებები ძირითადად მიმართულია „ნაციონალების“ დესტრუქციისკენ. თუმცა, პრორუსული ძალები, რომლებიც ძალას იკრებენ, საბოლოო ჯამში აუცილებლად დაარტყამენ „ქართულ ოცნებას“, რადგან „ქართული ოცნება“ არის მმართველი ძალა და ის ბარიერი, რომელიც მათ ელოდებათ.

პრორუსული ძალები მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის დროს მაინცდამაინც არ აქტიურობდნენ, ახლა რა შეიცვალა?

საკაშვილის დროს არ იყო ევრაზიული კავშირი, არ იყო ასეთი პრორუსული პროპაგანდა, არ იყო უკრაინაში ომი. მიხეილ სააკაშვილის დროს, ეკონომიკური აღმავლობა იყო და გრძელდებოდა, დღეს რაც დრო გადის, ამას ვერ ვხედავ.

მირანდა ნაბახტაძე, ჯი-პი-ენი

გამოფენა

წლებიდან წლები გაზაფხული თბილისში ქვეყნარტად გამოჩნეული საერთაშორისო ფორუმებისა და მნიშვნელოვანი გამოფენების მოწყობის დრო გახდა. რამდენიმე დღის წინათ დასრულებული ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის მმართველთა სამუშაო ყოველწლიური სხდომისა და წარმომადგენლობითი ბიზნეს-ფორუმის შემდეგ, გუშინ, 20 მაისს „ექსპო-გერმანიის“ მე-3 პავილიონში „Expo-Germany“-ს მე-5 გამოფენა გაიხსნა. ამ უაღრესად საინტერესო გამოფენას თბილისში ერთბაშად სამი გერმანული ბიზნესდელეგაციის ვიზიტი დაემთხვა.

ალსანიშნავია, რომ „Expo-Germany“-ს მე-5 გამოფენა საქართველოს ყველაზე დიდ გამოფენასთან „Caucasus Build“-თან ერთად მოეწყო. უნდა ითქვას, რომ გამოფენა „მშენებლობა და ინტერიერი“ წლებულს იუბილარია - იგი ოცი წლისა გახდა, მაგრამ, როგორც მისი გახსნის საზეიმო ცერემონიაზე აღინიშნა, ამ თარიღის ფასეულობა მით უფრო იმის გამო იზრდება, რომ მასში 21 ქვეყნის 200-ზე მეტი კომპანია მონაწილეობს, რაც მას წინა ცხრამეტი ანალოგიური გამოფენისგან დიდ დადამორჩევს. მათ შორის გერმანიის მხარე საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში მოღვაწე 50-ზე მეტი კომპანიითა და ორგანიზაციითაა წარმოდგენილი.

„Expo-Germany“-ში წარმოდგენილ პროდუქტებზე თუნდაც მიახლოებითი წარმოდგენა რომ შეგექმნათ, პატივცემულ მკითხველო, წარმოდგენილი კომპანიებიდან მხოლოდ რამდენიმეს დაგვასახელებთ: „Bayer Group science“ (მცენარეთა დაცვის საშუალებები და ჰიგიენური პრო-

სამუშაო სექტორის ევროპიზაციის გზა

დუქციის იმპორტი და დისტრიბუცია), „ბრიჯ თუ ჯერმანი“ (სამედიცინო მენეჯმენტი, ბიზნეს კონსალტინგი), „გერმანი-დრეკ“ (ლოჯისტიკური მომსახურება), „გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება“ (ბიზნეს



ასოციაცია), „GEZE“ (მინის, გამწვანოვი და უსაფრთხოების სისტემები, ფანჯრები და სავენტილაციო ტექნიკა), ELBAT CJSC (აკუმულატორების წარმოება მსუბუქი ავტომობილებისთვის), „დენტალ ჯორჯია“ (სტომატოლოგიური ხელსაწყოების იმპორტი და რეალიზაცია), „დი-ოლერ ჯორჯია“ (საკვები კონცენტრატები და დანამატები), მრავალი სხვა.

„Expo-Germany“-ს პარალელურად საქართველოს ასევე რამდენიმე მეტად წარმომადგენლობითი ბიზნესდელეგაცია ესტუმრა. კერძოდ, გერმანიის ეკონომიკისა და ენერჯეტიკის სამინისტროს ცამეტკაციანი დელეგაცია, რომელიც საქართველოს სამშე-

ნებლო სექტორსა და ინფრასტრუქტურის ბაზარს გაეცნო. გერმანიის დელეგაციის წევრებმა ამ დღეებში შეხვედრები თბილისის გარდა, ბათუმსა და ქუთაისშიც გამართეს, გარდა ამისა მთელი რიგი საწარმოც და-

ათვალისწინებს. გერმანული საქმიანი წრეების წარმომადგენელთა მიზანი საქართველოს ბაზრისა და საინვესტიციო გარემოს გააცნობა, ასევე პოტენციურ ბიზნეს-პარტნიორებთან კონტაქტების დაამყარება იყო.

ასევე საქართველოს ეწვია გერმანიის არქიტექტორთა კავშირის („European Network Architecture“) წარმომადგენლობითი თორმეტკაციანი დელეგაცია, რომლის წევრები შეხვედრებს უზრუნველ დაგეგმარების უწყებებსა და უძრავი ქონების სფეროს წარმომადგენლებს. აღსანიშნავია, რომ 22 მაისს „Porsche“-ს ცენტრში კომპანიის პროდუქციის გამოფენა მოეწყო.

რაც შეეხება მესამე დელეგაციას, მისი წევრები ქალაქ დიუსელდორფის ეკონომიკური კლუბის („Wirtschaftsclub Russland“) წარმომადგენლები არიან, რომლებმაც გუშინ მე-3 პავილიონში პრეზენტაცია გა-

მართეს თემაზე „მომავლის ჯილდო - საშუალო ბიზნესი - ახალი აბრეშუმის გზა“. მის ფარგლებში ის წარმატებული ინიციატივები წლის მიწურულს ბერლინში დაჯილდოვდებიან, რომლებიც ახალი აბრეშუმის გზის განხორციელებისას იქნება შეცნობილი, რის შედეგად საერთაშორისო ეკონომიკური პოტენციალი მეტად გაფართოვდება.

„Expo-Germany“-ს საზეიმო გახსნას თბილისის მერი დავით ნარმანიანი, გერმანიის, თურქეთისა და პოლონეთის ელჩები, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, აგრეთვე მასმედიისა და საზოგადოებრივობის წარმომადგენლები დაესწრნენ.

დღევანდელი მასშტაბური გამოფენების გამართვა თბილისისთვის ბოლო დროს ჩვეულ ამაბად იქცა. მათ დინამიკას თუ გადახედვით, მასშტაბი თანდათან მატულობს. გამოფენაში 21 ქვეყნის 200-ზე მეტი კომპანიის მონაწილეობა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ჩვენთვის მშენებლობისა და დიზაინის სფერო მეტად მნიშვნელოვანია. წავიდა ის დრო, როცა მთავარი მხოლოდ მშენებლობა იყო, ახლა ჯერი დარგში ინოვაციების გამოყენებაზეა. მე, როგორც ინფრასტრუქტურის ყოფილი მინისტრი, ასეთ მიდგომებს მივესალმები, სამშენებლო კომპანიებს კი მივხატავ, რომ თანამედროვე მოთხოვნებს აქტიურად გამოეხმაურონ, - თქვა მისასალმებელ სიტყვაში თბილისის მერმა.

შემდეგ სიტყვით გამოსულმა გერმანიის, თურქეთისა და პოლონეთის ელჩებმა გამოფენაში მონაწილე კომპანიებს მიღვანეობაში წარმატებები უსურვეს.

ოთარ ტურაბალიძე, ელგუჯა ნადარიშვილის ფოტო

ალიან-ჩალიანი

პოლიციის დღე 31 მაისს ქუთაისში აღინიშნება

შს-ს ცნობით, პოლიციის დღის აღსანიშნავად, პოლიციელები ქუთაისში ქვეყნის მასშტაბით, სხვადასხვა ქალაქებიდან ჩაივლიან. ღონისძიება ქალაქის ცენტრში, თეატრთან, ცენტრალურ მოედანზე გაიმართება, სადაც პოლიციის დანაყოფების შეიარაღება გამოიფინება და მოსახლეობას დათვალისწინებული საშუალება ექნება.

შს-ს ინფორმაციით, პოლიციის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე მნიშვნელოვანი საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, 2014 წელს მთავრობამ მიიღო დადგენილება, რის საფუძველზეც პოლიციის დღე განსაზღვრული იქნება სწორედ სამინისტროს დებულებით. გასულ წელს პოლიციის დღე 30 მაისს აღინიშნა.

საპოტაში თუ „პატალონ“ ნოსტალგია?

„სამომალბაძო ჩართულობის ცენტრმა“ საქართველოს მე-8 მონვევის პარლამენტის საქმიანობის მონიტორინგი განახორციელა. კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ 2012 წლის ოქტომბრიდან - 2015 წლის თებერვლის ჩათვლით პლენარული სხდომები არასაპოტაში მიზნით ყველაზე მეტჯერ გაცდინეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ფრაქციის წევრებმა: 1. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 260; 2. კოალიცია „ქართული ოცნება“ - 169; 3. „თავისუფალი დემოკრატები“ - 33; 4. უპარტიო, დამოუკიდებელი მაჟორიტარები - 16; 5. დამოუკიდებელი წევრები - 83.

ინტერპრესი

რა იქნება სვალ?

სალსს ჯერ ლარის გაუფასურებით გამოწვეული ტკივილიც არ გაყუჩებია და უკვე ახალი თავსატეხი გაუჩნდა – ელექტროენერჯის, წყლის, გაზის შესაძლო გაძვირებაზე საუბარი მასში უკვე გაუხადლის აგრესიას იწვევს. ხალხი ამდენ ტვირთს ვეღარ აიტანს, ერთხელაც ყელში ამოუვა და ყველა იმას, ვისაც მოსახლეობის გალატაკებაში ბრალი მიუძღვის, პასუხს მოსთხოვს.

მანამდე კი, ვიდრე მოქმედ ხელისუფლებას პასუხს მოსთხოვდეს, რომელიც ნაციონალების ყოველდღიურ ხრიკებსა და საბოტაჟს რატომღაც ვერ უმკლავდება, ხალხს სურვილი აქვს, იცოდეს, რეალურია თუ არა „ენერჯო პროჯორჯიას“ მოთხოვნა ტარიფის კორექტირებასთან დაკავშირებით, ანუ დარწმუნდეს, როგორია სინამდვილე – ბოლოს და ბოლოს, დენი მართლა გაძვირდება?

ოფიციალური ინფორმაციით, წლეულს 8 აპრილს, კომპანია „ენერჯო პროჯორჯიას“ შეიქმნა შპს „ჯიფაუერმა“, რომელიც ელექტროენერჯიას ბუნებრივი აირის გამოყენებით



დენი მართლა გაძვირდება?

ტარიფების მორიგ გაზრდას ხალხი ვეღარ აიტანს!

ანარმოებს, ტარიფის კორექტირების მიზნით, სემეკს წერილობითი მოთხოვნა მართლაც წარუდგინა. 15 აპრილს სემეკს თავად „ენერჯო პროჯორჯიამაც“ მიმართა წერილობით, რომლითაც ელექტროენერჯის შესყიდვის ნაწილში მოხმარებული ტარიფის კორექტირება მოითხოვა. ეს იმით ახსნა, რომ გაუძვირდა ელექტროენერჯის შესყიდვის ფასი, რამაც მთლიანად ამოწურა მისი ფინანსური შესაძლებლობანი. მართალია, აშშ დოლართან მიმართებაში ლარის გაუფასურება 2014 წლის ნოემბრიდან დაიწყო, რამაც კომპანიას შესასყიდი დენი გაუძვირა, მაგრამ მან გაითვალისწინა მომხმარებლის გაჭირვებული ყოფა და ტარიფის ცვლილების მოთხოვნით სემეკს მხოლოდ ამ წლის აპრილში მიმართა. ტარიფის გაძვირების გარდა „ენერჯო პროჯორჯიასთან“ დაკავშირებით, მედიამ ისხვა სენსაციაც აგორდა. გავრცელებული ინფორმაციით, ჩეხური კომპანია იყიდება და ექსპერტთა შეფასებით, გამოირიცხული არ არის, რომ „თელასის“ მსგავსად, მასაც რუსები დაეპატრონონ.

გაიყიდება თუ არა „ენერჯო პროჯორჯიას“ ეს ჯერ კიდევ საკითხავია, მაგრამ დენის ტარიფის ზრდა რომ გარდაუვალია, ამ აზრს თითქმის ყველა ექსპერტი იზიარებს. თუმცა, უმჯობესია, დაველოდოთ სემეკის გადამწყვეტილებას, რომელსაც ის მიმდინარე წლის 10 სექტემბერს გამოიტანს. ფაქტია, რომ ლარის დეველვაციამ მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნა ენერჯეტიკულ კომპანიებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ გენერაციის ობიექტებმა თავის დროზე სანავის შესყიდვა იმ კურსით დაგეგმეს, როცა აშშ დოლარი 1.73 ლარი ღირდა, უნდა ვაღიაროთ, რომ ეროვნული ვალუტის გაუფასურების გამო კომპანიები დღეს იმავე მოცულობის სანავის ვეღარ შეისყიდნან. ეს ნიშნავს, ერთი მხრივ, კომპანიების ზარალში გადავრდნას, ხოლო, მეორე მხრივ, მომხმარებლის საჭირო ოდენობის სანავით მოუმარაგებლობას, ანუ, წინა საუკუნის 90-იანი წლების „ჩაბნელების პერიოდის“ გამოვრებას.

ნაცები ისედაც არ აკლებდნენ, ქოცებს ლანძღვა-გინებას და მით უმეტეს ახლა, როცა მთავრობას ლარის კურსი უკონტროლოდ გაექცა, ბილნისტიყარობას კიდევ უფრო უმატეს. აი, ნახეთ, ნიშნისმოგებით გვეუბნებიან, უუნარო, უსაქმური რომ შევარქვით და არ გვიჯერებდით, ხომ მიიყვანეს ქვეყანა დაქვევამდე, ახლა კიდევ ხალხს უმუშევრობა და შიმშილი არ აკმარეს და მალე შევარდნადიხულ წყველიაში მოაქცევნო. ჰოდა, არიან ერთ გნასში, სააკაშვილი თუ არ დავაბრუნეთ და ხელისუფლებას ისევ ჩვენ არ მოვექცით სათავეში, საქართველოს აპოკალიფსი არ ასცდებო.

რით შეიძლება დავამშვიდოთ ქვეყნის სვებებზე დამდურული ნაცბანდის მესვეურები? პერმანენტული ქაქანის მადა ოდნავ მაინც რომ შევუმციროთ (არა მგონია, მაგრამ მაინც), ალბათ, უპრიანი იქნება, შევასხნოთ, თავიანთი მმართველობის პერიოდში ენერჯეტიკის სფეროში ნაკეთები საქმენი საგმირონი. ხალხს ჯერაც არ დაგინყნია ამერიკული კომპანია AES-ის „ნაღვანი“, რომელიც მაშინდელი მთავრობის ხელდასხმით, მთელი რიგი მაქინაციების გზით, იოლად ახერხებდა ელექტროენერჯის ტარიფების გაბერვას და მოსახლეო-

ბიდან დიდძალი თანხების გამოძალგას. შედეგად ის მივიღეთ, რომ სულ რაღაც 3 წელიწადში დენის ტარიფი 5,5-ჯერ გაიზარდა, ხოლო განაწილებისა და დისტრიბუციის წილი მთლიან ტარიფში – 60-70 პროცენტით. უხეში გათვლებით დგინდება, რომ 2002-2012 წლებში „თელასმა“ ტარიფების გაზრდით მოსახლეობიდან 1 მილიარდ 430 მილიონი ლარით მეტი შემოსავალი მიიღო, რითაც 520 ათასზე მეტ ლატაკ აბონენტს ცხოვრება ერთიორად დაუმძიმა.

ხალხს უკანასკნელი გროშები წაგლიჯა კეთილი ინვესტორის სახელით შემოსულმა მეორე უცხოურმა კომპანიამაც – „ენერჯო პროჯორჯიამ“, რომელსაც საქართველოში ჯერ ერთი თეთრის ინვესტიციაც არ ჰქონდა განხორციელებული და გულმონყაღე ნაცებმა ტარიფი მაქსიმალურად გაუზარდეს. ამ და სხვა მაქინაციების წყალობით, მანში სახელმწიფო ბიუჯეტმა სულ მცირე 200 მილიონი დოლარის შემოსავალი დაკარგა(!).

თუმცა, ეს არ გახლავთ ერთადერთი ზიანი, რაც ქვეყანამ ამ ინვესტორი (თუ ამას ინვესტორი ჰქვია) კომპანიისგან მიიღო. თავის დროზე „ენერჯო პროჯორჯიამ“ დადო პირობა, რომ 85 მილიონ დოლარს შექმნილი ჰქვებდის რეაბილიტაციაში ჩადება და, 100 მილიონს კი ახალი ჰქვებდის აშენებაში. აღნიშნული ინვესტიციები დენის ტარიფში კი აისახა, მაგრამ რეალურად კომპანიას არაფერი დაუხარჯავს. ამის მიუხედავად, მომხმარებელი დღემდე იხდის ტარიფში ჩადებულ ამ თანხას და ერთ კვტ.სთ ელექტროენერჯიაში ადრინდელი 6 თეთრის ნაცვლად 16 თეთრს. სამაგიეროდ, იხეირა „ენერჯო პროჯორჯიამ“, რომელმაც დამატებით 2,6 მილიარდი ლარის შემოსავალ ჩაიჯობა.

უკვე წლებია, საქართველოში ყველაზე აქტიურად თემა, რამდენად რეალურია დენისა და გაზის ის ტარიფები, რაც ქვეყნის მასშტაბით მოქმედებს, არაერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ მოქმედი ტარიფები ხელოვნურადაა გაზრდილი, რადგან ტარიფის კომპონენტებს შორის, კომპანიების მოგების მარჯა თითქმის 150 პროცენტს უტოლდება. ცალკეული მსხარეობები იმასაც აზოგავს, რომ გაზის ტარიფი 25 თეთრით, ხოლო დენის ტარიფი 10 თეთრით იაფი უნდა იყოს. ამის შამოქმად უცხოურ ენერჯეტიკულ კომპანიებს ჰყოფნით გაგვიადგოვა, ზარალის მოტივით, მოითხოვონ ტარიფების გაზრდა, ხოლო ნაცვას – ნამუსი (რომელიც არასოდეს ჰქონიათ), თავი უცოდველ კრავებად მოგვაჩვენონ და ყველაზე შამოქმადი მიიღონ ეკონომიკური რეალუბისთვის პასუხისმგებლობა მთლიანად ქოცვას დააკისრონ.

ამ დღეებში ტარიფების გაზრდის პრეტენზია დედაქალაქის წყალსადენში უცხოურ ინვესტორად მოგვენილ „მულტიპლექს ენერჯი ლიმიტედსაც“ გაუჩნდა (კიდევ კარგი, უარი სტკიცეს) იმის მიუხედავად, რომ დენისა და გაზისგან განსხვავებით, წყალი საქართველოში თავსაყრელად გვაქვს და მისი დოლარზე შესყიდვა არ გვჭირდება. ხსენებულმა კომპანიამ მაინც შეძლო ვალდებულებით ნაციონალური ბიზნესი არ შეესრულებინა და 24-საათიანი წყალმომარაგება მომხმარებელთა დიდი ნაწილისთვის კვლავაც მიუწვდომელ ოცნებად დაეტოვა. მოუწესრიგებელია თბილისის (რომ აღარაფერი ვთქვათ რუსთავზე) წყალმომარაგების ქსელი, რის გამოც ქალაქი იმაზე ათჯერ მეტ წყალს ხარჯავს, ვიდრე ნორმითაა გათვალისწინებული, ამასთან, ყოველ კუბმეტრ წყალში მომხმარებელი ორ-სამჯერ ძვირს იხდის(!).

ყველაზე ცუდი ის არის, რომ დაპირების მიუხედავად, ქვეყანაში დღესაც არ არსებობს პოლიტიკური ნება, გადაიხედოს ინვესტორებთან დადებული კაბალური ხელშეკრულებები, განხორციელდეს ობიექტური მონიტორინგი, როგორ სრულდება მათ მიერ აღებული ვალდებულებები, რათა მოსახლეობა ელექტროენერჯის, გაზისა და წყლის გადასახადს კვლავ იმ უსამართლო, კაბალური ტარიფებით არ იხდიდეს, რაც თავის დროზე ნაცბანდელთა ხელისუფლებამ დაგვიდგინა. ნაცების ტერმინი რომ ვიხმაროთ, დღევანდელი ხელისუფლების ამ „უნიათობით“ სარგებლობენ ქვეყნის ენერჯეტიკას დაპატრონებული უცხოური კომპანიები და პრეტენზიებს მთავრობას აქვთ უყენებენ – ლარის მკვეთრმა გაუფასურებამ ზარალში ჩავგვადო და გვაიძულა ტარიფების გაზრდა მოვიტხოვოთ.

შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, ასეთი ზრდა, ალბათ, გარდუვალი გახდება. ამის აღიარება მოუწია ენერჯეტიკის მინისტრს. „არ გამოვრიცხავ, – განაცხადა კალაძემ, – მივხედვს ელექტროენერჯის ტარიფის მატებას, იყოს ამის გარდაუვალობა, თუმცა, ეს მთავრობის მსჯელობის საგანი იქნება, მოხდება სოციალურად დაუცველთა სუბსიდირება“.

რა თქმა უნდა, სოციალურად გაჭირვებულთათვის მთავრობის მხრიდან ხელის განწვევა თავისთავად კეთილშობილური საქციელია, მაგრამ ეს არ გახლავთ შექმნილი სავალუტო კრიზისიდან საუკეთესო გამოსავალი. მიზნობრივი სუბსიდირება მართალია ერთგვარად შეუშლუბუქებს მძიმე ყოფას ადამიანთა ერთ ფენას, მაგრამ, სამაგიეროდ, მძიმე ტვირთად დაწვევა ისედაც ღარიბ სახელმწიფო ბიუჯეტს, რომელიც ისედაც ვერ წვდება ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ყველა მოთხოვნას. ხელისუფლებამ, თუ სურს მიაღწიოს ეფექტურ მართვას, პირველ რიგში, უნდა იზრუნოს მატერიალური წარმოების განსავითარებლად, ხალხის დასასაქმებლად და რეალური ეკონომიკის შესაქმნელად.

მოცინებულ ხელისუფლებას გვარწმუნებს, ნაცებისგან განსხვავებით, რომელთაც ბიზნესი გაძარცვს და ეკონომიკა დააქციეს, სწორედ იქითკენ ვდგამთ ნაბიჯებს, რომ დანგრეული ეკონომიკა ფეხზე წამოვავყნოთ, ხალხს საკუთარი შემოსავლები გაუჭიროთ და გვაცალეთო. მართლაცდა, სადაც ამდენი, ცოტაც ვაცალოთ (მორიგ არჩევნებამდე მაინც) და ყველაფერი გამოჩნდება. დღემდე ყველა იტყუებოდა და იქნებ „ტრადიცია“ ამათ მაინც დაარღვიონ?

ოთარ ხუციშვილი

ალიან-ჩალიანი მსხთილუბს წყალი თითქმის ორჯერ გაუძვირდა

მსხთილუბში გამრიცხველიანებულ აბონენტებს წყლის საფასური გაუძვირდათ. შესაბამისი გადამწყვეტილება საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სხდომაზე გუშინ მიიღეს.

სემეკის გადამწყვეტილებით, შპს „მცხეთის წყლის“ აბონენტებს, რომლებიც მრიცხველით სარგებლობენ, წყლის საფასური 1 კუბურ მეტრზე 0,10 ლარიდან 0,204 ლარამდე გაუზარდათ.

რაც შეეხება გაუმრიცხველიანებულ საყოფაცხოვრებო მომხმარებლებს, მათთვის წყლის ტარიფი არ შეცვლილა და დარჩა 2.40 ლარი, ერთ სულზე თვეში. ასევე, წყლის ტარიფი უცვლელი დარჩა არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის – 4.40 ლარი 1 კუბურ მეტრზე წყალზე. აღნიშნული ტარიფები ძალაშია 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

როგორც სემეკის წევრმა, გოჩა შონიამ ურნალისტებთან განმარტა, ეს არის პირველი შემთხვევა, როცა შპს „მცხეთის წყალს“ წყლის ტარიფი სემეკ-მა დაუდგინა, აქამდე ტარიფს კომპანიას მცხეთის მუნიციპალიტეტი უდგენდა.

„თელასი“ „ჯორჯიან უოთერ & ჯაუერს“ საზოგადოების შესლოაში შეყანაში აღანაგაულებს

სამშე ხება „ჯორჯიან უოთერ & ჯაუერს“ მიერ სოფელ დილმის ახალი დასახლების ელექტრომომარაგების შე-



სახებ გავრცელებულ ინფორმაციას, რომელსაც „თელასი“ განცხადებით პასუხობს. „სოფელ დილმის ახალი დასახლების ელექტრომომარაგების შესახებ კომპანია „ჯორჯიან უოთერ & ჯაუერსმა“ გააგრძელა ინფორმაცია, რითაც საზოგადოება შეცდომაში შეიყვანა კომპანია „თელასის“ საქმიანობასთან დაკავშირებით. განცხადებაში ნათქვამია, რომ „თელასის“ ტექნიკური სამსახური ღამის საათებში არ მუშაობს, რის გამოც დროულად ვერ მოხერხდა დაზიანებული კაბელის აღდგენითი სამუშაოების დაწყება. გვინდა აღვნიშნოთ, რომ კომპანია „თელასის“ სადისპეტჩერო, საკაბელო და საინფორმაციო სამსახურები 24-საათიან რეჟიმში მუშაობენ და ნებისმიერ დროს მზად არიან ყველანაირი პრობლემის მოსაგვარებლად.

რაც შეეხება გუშინდელ შემთხვევას, აღვნიშნავთ, რომ სოფელ დილმითან კომპანია „ჯორჯიან უოთერ & ჯაუერსმა“ მიწის სამუშაოების შესრულების დროს მექანიკურად დაზიანდა სს „თელასის“ მაღალი ძაბვის კაბელი. ამის გამო ელექტროენერჯის მიწოდება დროებით შეუწყდა სოფელ დილმის ახალი დასახლების ნაწილს.

19 მაისს, 03:25 საათზე, კომპანია „თელასის“ სადისპეტჩერო სამსახურმა დააფიქსირა ქვესადგურის „დილომი-1“ ერთ-ერთი ფიდერის გათიშვა. ელექტროენერჯის მიწოდება 442 აბონენტს შეუწყდა.

კომპანია „თელასის“ ტექნიკურმა სამსახურმა ერთ საათში (04:25 საათზე) მოახერხა ელექტრომომარაგების აღდგენა 319 აბონენტისთვის. რაც შეეხება დანარჩენ 123 აბონენტს, მათთვის ელექტროენერჯის მიწოდების აღსადგენად საჭირო იყო დაზიანებული მაღალი ძაბვის კაბელის შეკეთება.

დაზიანებული კაბელის აღდგენითი სამუშაოების დაწყება „თელასის“ ტექნიკურმა სამსახურმა მხოლოდ 15:00 საათზე შეძლო, რადგანაც კომპანია „ჯორჯიან უოთერ & ჯაუერს“ ამ დრომდე არ ჰქონდა დასრულებული სარემონტო სამუშაოები მაგისტრალურ წყალსადენზე.

სოფელ დილმის ახალი დასახლების ელექტრომომარაგება სრულად 18 საათისთვის აღდგა, – ნათქვამია „თელასის“ განცხადებაში.

ინტერპრესი

მოდღვარი უბნობს:
 – საკუთარ სხეულზე მიწყვი ზრუნვა საჭირო, ის სუ-
 ლიწმინდის ტაძარია, ამიტომ იმსახურებს, რომ პატივს
 ვცემდეთ და ვეფერებოდეთ.
 დრო, რომელიც ბუნებისგან გვაქვს გამოყოფილი, სრუ-
 ლად უნდა გამოვიყენოთ – დღეინადაც უნდა ვიზრდოდეთ
 ჩვენი ოცნების ასახდენად და ამისთვის მთელი ძალ-ღონე
 უნდა მოვიკრიბოთ.
 ოღონდ არც ის უნდა ვიგულმავიწყოთ, რომ ცხოვრე-
 ბა პატარ-პატარა სიხარულთაგან შედგება, და ცხოვრე-
 ბაში სწორედ იმათი არსებობა თუ ჭაჭანება გვაგულია-
 ნებს და გვაქებებს, ხელს გვიწყობს ჩვენს ძებნა-ძიებაში,
 სულს გვათქმევინებს, გვისუღფონებს ჩვენს საყოველღეო
 და სანიადავო საკრობაში.
 და არცნა საძრახისი არ არის, თუ მდინერებს გან-
 ვიცდით. არც კიდევ არცნა უსწორო და მცდარია, თუ ხან-
 უამისად ჩვენ მიერ დადგენილ წესებს გადავალთ – გინდა
 ჭამა-სმას ესებოდეს ეს, გინდა ძილს და გინდაც გამედ-
 ნიერებას.
 ამიტომ თავს ნუ დაიდანაშაულებ, თუ ვინიცოგა რა-
 ლაც რაოდენობის დროს ათასნაირ სისულელეზე დაკარგავ-
 ამ პატარ-პატარა სიამოვნებებს უდიდესი შემგულიანე-
 ბელი ძალა აქვთ.


სანამ მოდღვარი უფლის სიტყვის გასაზრცელებლად
 გზას იყო გადებული, სახლი, ანუ, როგორც თავად ეძახდნენ,
 სარაიი, სადაც ის თავის მოწაფეებთან ერთად ცხოვრობდა,
 დაიწვა.
 – კაცი გვენდო, ჩვენ კი, ვერ გავუფრთხილდით, – წუხდა
 ერთი მოწაფეთაგანი.
 და ყველამ ერთად გამოიღო ხელი, რაც ცეცხლს გა-
 დაურჩა, დაიწყეს იმის აღდგენა. სწორედ ამ დროს წა-
 მოადგათ მოდღვარიც, თვალის შეავლო მკლავებდაკაპი-
 წებულ მოწაფეებს და გაიხარა:
 – ოჰო, საქმე გაჩანხულია, მალე ახალი სახლი ახალი
 სარაიი გვექნება!



ან, ვიდრე სუყველა დანარჩენი: რამეთუ ამას იქით იმათ
 მხოლოდ შეძენა დააგულისყურებთ და შეძენა ექნებათ
 მიზნად.

ზიანისტი არტურ რუბინშტიინი ერთ-ერთ ფეშენებე-
 ლურ ნიუ-იორკის რესტორანში წვეულებამე აგვიანებდა,
 ის-ის იყო მეგობრებმა დღევა დაიწყეს, სად არის აქამ-
 დეო, რომ ისიც გამოჩნდა, ოღონდ მომხიზველ ქერათმიან
 ქალთან ერთად, რომელიც სახელოვან მუსიკოსზე
 დაახლოებით სამჯერ ახალგაზრდა იქნებოდა.
 თავისი ქვაწვიობით ცნობილი მასტრო იმ დღეს ყვე-
 ლაზე უფრო ძვირფას კერძებს და სათავითაო ღვინო-
 ებს უკვებავდა. და სადილის ბოლოს დანახარჯი ღიმი-
 ლიანმა გადაიხადა.
 – ვიცი, – უთხრა მან თავის თანამეინახეთ, – კარვად
 ვიცი, რომ გავიწვიებულნი ხართ. მაგრამ საქმე ის არის,
 რომ დღეს ნოტარუსთან ვიყავი და ჩემი ანდერძი გა-
 ვაფორმე. მნიშვნელოვანი წილი ქალიშვილს გამოვუყა-
 ვი, ცოტადღენი სხვა ნათესავთაც ვარგუნე, უხვად გავი-
 დე ქველმოქმედებისთვის. და უცებ მივხვდი, რომ ჩემი
 თავი არ შევიყვანე მემკვიდრეთა სიაში! ყველაფერი ახლა
 მხოლოდ სხვებს ეკუთვნის!
 ამიტომ გადავწყვიტე, რომ დღეის ამას იქით ჩემს თავს
 უფრო დიდსულოვნად მოვეყრო, ვიდრე აქამდე ვეყ-
 რობოდი.

მოდღვარი უბნობს:
 – ოდეს შენი ოცნების გზა-სავალს მისდევ, უნდა აღას-
 რულედე შენს ყოველ ვალდებულებას, რაც ოცნების წინაშე
 გაკისრია, არც კიდევ თავდასაძვრენს რასმე არ უნდა იტო-
 ვებდე იმის მომიზნებით, რომ ეს ვითომც მთლად ის არ
 არის, რის ახდენასაც აგრერიგად ნატრობდი.
 ეს ფრაზა თავის შიგან მარცხის თესლს შეიცავს.
 მიჰყევი შენს გზას. მაშინაც კი, თუ იძულებული გახდები
 მცდარი ნაბიჯის გადასადგმელად, და მაშინაც, თუ გე-
 ცოდინება კიდევ, რომ მევრად უკეთესი) ნაბიჯის გადადგმა
 შეეძლო. უკეთუ შენს ყოველ შესაძლებლობას მოივარეგ
 აწმყოში, ეს უეჭველად სამომავლოდ გამოგადგება.
 ხოლო თუ უარყოფ, უკუავდებ რაგინდარა შენს შემლუდ-
 ვას, ვერასვით თავს ვერ დააღწევ ვერც ერთს.
 შენს გზას ადევნებულმა თავი უნდა გაიმამაცო, არ შე-
 შინდე, თუ გზადაგზა სხვანი გაგვიცხავენ. და, რაც მთა-
 ვარია, ერთ ადგილას არ გაშვებ, ხელეები არ ჩამოყა-



პაულო კოელიო მაქოუბი

ქართულად გადმოაწერა გურამ გოგიაშვილმა

რო და საკუთარი თავის გმობა არ დაიწყო.
 უფალი არ მიგატოვებს შენს უძილო ღამეებში და თავ-
 ვისი სიყვარულით შეგიზრობს შენს ჯერეთ კიდევ დაუღ-
 ვრელ ცრემლთ.
 რამეთუ უფალი მამაცთა უფალია.

ურთველ მოდღვარმა თავის მოწაფეთ სთხოვა, წადით
 და დასასუფრებელი, კბილის დასადგმელი რამ იშოვე-
 თო. ზოგი საით წავიდა, ზოგი საით, ნახევრად მშიერთ
 ბევრი იარუს თუ ცოტა, საღამო ხანს დაბრუნდნენ და ყველამ
 ის მოაყოლა ხელს, რაც კეთილ ხალხს გაემეტებინა: შემ-
 პალი ხილი, დაფაშრებული პური, გვარინად ნაკვანი ღვინო.
 მაგრამ, ერთ-ერთს, რა უცნაურიც არ უნდა იყოს, მთელი
 ერთი ტომარა მწიფე ვაშლი ეშოვა.
 – რა ვქნა, რაც შემედლო, ყველაფერი ვიღონე ჩემი
 მოძღვრისა და ჩემი თანამოძმეების დასანაყრებლად, –
 თქვა მან და ყველას ჩამოურიგა ვაშლები.
 – ამდენი მაინც სად იშოვე? – დაეკითხა მოძღვარი.
 – მოვიპარე, – მიუგო მოწაფემ. – ხალხი მხოლოდ ყოვ-
 ლად უვარგის რამერუმეს იმეტებდა, ნაყარნუყარას, თუმცა,
 კარვად იყოღენ, რომ ჩვენ უფლის სიტყვას ვაგრცელებთ
 ქვეყნად.
 – წაიღე ეგ შენი ვაშლები, წადი აქედან და აღარასო-
 დეს აღარ დაბრუნდე. – მიუთხრო მაშინ მოძღვარმა. –
 ვინც ჩემი გულისთვის თუნდაც ერთხელ მოიპარავს, ის
 ოდესმე თავად მეც გამქურდავს.

მქვეყნად ყველანი ჩვენს ნაოცნებარს დავეძებთ და
 ჩვენი იდეების განსახორციელებლად ვფოჟოლობთ. და
 ძალიან ხშირად რაც იქვე, გვერდით, ხელსატაცად უნ-
 და გვედოს, მიუწვდომელ ადგილას გადახაზავთ ხოლმე.
 ხოლო ჩვენს შეცდომას როცა ვხვდებით, ვგრძნობთ, რომ
 უამრავ დროს ვკარგავთ შორს იმის ძებნაში, რაც სულ
 ახლოა. და თავს ვიდანაშაულებთ არასწორი ნაბიჯის გამო,
 ტყუილი ძებნა-ძიებისთვის და კიდევ იმისთვის, რომ საქმრის
 უპოვრობა-უპოვნელობით თავადვე გავიცრუეთ იმედი.

მოდღვარი თავის საყვარელ მოწაფეს შეხვდა და ჰკითხა,
 როგორ მიდის შენი სუ-
 ლიერი სრულყოფილე-
 მის საქმეო. ვახეხებ,
 რომ ახლა ყოველი წუ-
 თი უფალი მივეძღვანო,
 მიუგო მან.
 – ძალიანაც კარგი,
 მამ, აბა, ისლა დაგრჩე-
 ნია, რომ მიუტევო
 მტერთა შენთა, – მი-
 უთხრო მოძღვარმა.
 მოწაფე სახტად დარ-
 ჩა და ძლივს ამოდერ-

და:
 – რატომ? მე სულაც არა ვგრძნობ იმათ მიმართ გუ-
 ლისწყრომას.
 – როგორ ფიქრობ, უფალი გიწყნრება როსმე თუ არა?
 – რასაკვირველია, არა!
 – მაგრამ, მით უმეტეს, შენ მაინც შესთხოვ: „უფალო,
 მომიტევე!“ ზუსტად ვერაფერ მოეცევი შენთა მტერთაც, თუნდაც
 არცნა სიძულვილს ანა გრძნობდე იმათ მიმართ მიტე-
 ვების კეთილსურნელოვანი ტენი ვგრევე განზანს მიტე-
 ვების გულს.

ხალგაზრდობაში ნაპოლონი ვერხვის ფოთოლსა-
 ვით თრთოდა ტულონის სასტიკი დაბომბვის ურამს.
 ერთ-ერთმა ჯარისკაცმა შენიშნა ეს და თანამებრძოლთ
 გადაუღაპარაკა:
 – შეხედეთ, კაცის ფერი აღარ ადევს, შიშისგან ცოცხალ-
 მკვდარილია!
 – მართალი ხარ, – მიუგო ნაპოლონი. – მაგრამ
 ბრძოლას მაინც განვაგრძობ. შენ რომ იმის ნახევრად
 გეშინოდეს ისე, როგორადაც მე შეშინია, უკვე დიდი ხნის
 გაქცეული იქნებოდი ბრძოლის ველიდან.

მოდღვარი უბნობს:
 – შიში სილაჩრის ნიშანი არ არის, ის შესაძლებლო-
 მას გვაძლევს ვიმოქმედოთ არაერთ რთულ ვითარება-
 ში, რითაც ესოდენ მდიდარია ცხოვრება, გამედულად და
 ღირსეულად. ვინც შიშს განიცდის, მაგრამ მაინც წინსე-
 ლას განაგრძობს, არა და არ ემორჩილება სიმხდალეს
 და ძლევს თავის სულმოკლეობას, ღირსია, რომ მამა-
 ცად იწოდებოდეს. ის კი, ვინც სახიფათო რამ საქმეში
 ისე ჩაებმევა, რომ ანგარიშს არ უქნებს, რა განსაცდელ-
 ში ივდებს თავს, მხოლოდ და მხოლოდ უპასუხისმგემ-
 ლოა.

ყარიბი ერთი წმინდა იოანეს დღესასწაულზე აღმოჩ-
 ნდება – ყველგან კარვები და ფარდულები, ბალაგანე-
 ბი გაუმართავთ, ალაგ მიზანში ისვრიან, ალაგ შინაურე-
 ლი სუფრა გაუშლიათ. და უცებ სად იყო, სად არა, მო-
 კიცხნარად მოვლენილი ტაკიმასხარა ყარიბს ზველვას –
 გამოლაგნებასა და დაცინვას დაუწყებს. იმისდა მსგავსად
 იმეორებს იმის საუბარსაც და სუყოველ მოძრაობას. ირ-
 გვლივ ყველა იცინის, იცინის ყარიბზე. მერე ტაკიმასხარას
 ის ყავის დასალეველ იწვევს.
 – სანამ ცოცხალი ხარ, ისარგებლე სიცოცხლით, – ეუბნება
 იგი ტაკიმასხარას, – მიდი, იხტუნავე, იკუნტუნე, ხელე-
 ბი იქნიე, იხმურე, იცინე, ხალხს ეჯატანე, რამეთუ სი-
 ცოცხლე სიკვდილის სრული საპირისპირო რამ არის.
 სიკვდილი საშუამოდ ერთსა და იმავე მდგომარეო-
 ბაში ყოფნას ნიშნავს. უკეთუ უჩუმარი ხარ, კრინტს არა
 ძრავ და არ მოძრაობ, მამასადამე, არც ცოცხალი ხარ.

ურთმა ყოვლადმოღვირმა მზრდნებელმა თავისთან უხმო
 წმინდა, ღვთის სათნო კაცს ვისმე, – რომელიც, როგორც
 ხალხი ირწმუნებოდა, ყოველგვარი სნებისა და სნეულების
 განკურნების ნიჭით იყო დაჯილდოებული, – და უბრძანა,
 ზურვის ტკივილისგან მომარჩინეთ.
 – უფალი შეგვეწვევა, ხელს აღგვიპყრობს, – თქვა ღვთის
 სათნო კაცმა. – მაგრამ თავდაპირველად მოდიოთ მაგ
 ტკივილის მიზეზი დავადებოთ. აღიარებთ ადამიანს იძულე-
 ბულს ხდის, რომ გუ-
 ლისყური დაჰყაროს თავ-
 ვის მტანჯველ ურვას,
 ანუ მწუხარებას და-
 მამძიმებელს, და მარ-
 ჯედ გაითავისუფლოს
 თავი არცთუ მცირედი
 ჭმუნვისა და ნაღვლისა-
 გან.
 და მან გამოკითხვა
 დაუწყო მზრდნებელს
 განვიღო ცხოვრებამე,
 თანაც სულ წელილად
 ითხოვდა ყოველსავე – რა ურთიერთობა გექვს შენს
 დაახლოებულ ხალხთანო, ვის როგორ ექცევით, ყოვლის
 უფრო რა გიმწარებს მეფობასო, რა გაღელვებს და გამ-
 ფოთებსო. მეფე დიდად გაანაწყენა თავის ცხოვრებამე
 მავანი ღვთის სათნო კაცის ჩარევამ და, ცოტა არ იყოს,
 გულმოსულმა უთხრა:
 – არა, მე ჩემი ცხოვრების ამგებზე ლაპარაკი არა მსურს!
 თუ კაცი ხარ, წადი და ისეთი ვინმე მომიყვანე, ვინც არ-
 ცრას ფიქრების ამშლელს არა მკითხავს და ისე მიმპურ-
 ნალებს.



ღვთის სათნო კაცი წავიდა და ნახევარ საათში ვიდაც
 კაცთან ერთად დაბრუნდა.
 – აი ის კაცი მოგიყვანე, ვინც შენ გჭირდება, – უთხრა
 მან. – ჩემი მეგობარი ბეთაია. ეს არცროდის არცრას
 არ ევითხება ვისმე, ვისაც მკურნალობს.

ურთი მოწაფე კითხულობდა, რა უნდა ვჭამო და რა
 არაო, რათა განვიწმინდო. როგორ არ ეცადა მოძღვარი
 იმის ახსნას, რომ ყოველგვარი საზრდელი წმინდა რამ
 არისო, მაგრამ მოწაფე ვერა და ვერ დაარწმუნა.
 – აუცილებლად იქნება რამე ისეთი საჭმელი, უფალო-
 თან რომ მივყავართ, – ჯიუტად ამტკიცებდა მოწაფე.
 – რა გაეწყობა, იქნებ შენ მართალიც ხარ. აი, მაგა-
 ლითად, აგერ ეგ სოკო სინჯე.
 და მოწაფე სიხარულით ცას ეწია. გადაწყვიტა, სოკო
 ნამდილად სულიერადაც გამწმინდს და გამამხნევეს კი-
 დეცო. მაგრამ, როგორც კი მიეახლოვა, შემინებული განზე
 გახტა:
 – შედევ ეტყობა, შხამიანია! ერთიც რომ ვუკვირო, აღ-
 გილზე სულს გამაფრთხობინებს!
 – სამაგიეროდ, ეგ ერთადერთი საზრდელია, რომლის
 წყალობითაც ცათა შინა ღვთის სასუფეველში მოხვედ-
 რა შეიძლება, – მიუგო მოძღვარმა.

XX საუკუნის დამდეგიდან ქართული ეროვნული მოძრაობა ახალ შინაარსს იძენს. ახალი შინაარსი თავისთავად შეიცავდა ორ მომენტს: პირველი, ქართულ სინამდვილეში ილია ჭავჭავაძეს, მის ეროვნულ პროგრამას პირდაპირი და უშუალო მემკვიდრე არ აღმოაჩნდა, ანუ სამოღვაწეო ასპარეზზე არ ჩანდა პოლიტიკური ლიდერი, პოლიტიკური ძალა, რომელიც პირდაპირ, ცალსახად განაცხადებდა რომ აგრძელებდა ილია ჭავჭავაძის მიერ დაწყებულ დიდ ეროვნულ საქმეს. ცხადია, ეს მოვლენა მხოლოდ უარყოფითად უნდა შეფასდეს. მეორე, ქართულ სინამდვილეში ჩაისახა და ფართო გაქანება პოპულარმა მოვლენამ: საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა და საქართველოს ავტონომიის მოპოვებისათვის მოძრაობამ. ეს მოვლენები, ცხადია, დადებითად უნდა შეფასდეს.

ქართულ სინამდვილეში ჩაისახული ორივე მოვლენა (ერთი უარყოფითი და მეორე დადებითი) თავისი ბუნებრივი გზით განვითარდებოდა, რომ არ დაწყებულიყო პირველი მსოფლიო ომი (1914 წ.).

ომმა კარდინალურად შეცვალა ვითარება მთელ მსოფლიოში, მათ შორის, რუსეთსა და საქართველოში. შესაბამისად შეიცვალა საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების, საერთოდ, პოლიტიკურ ძალთა სამოქმედო გეგმებიც. პირველი მსოფლიო ომის გამო გართულებული პოლიტიკური ვითარება კიდევ უფრო გაართულა მეორე მოვლენამ — რუსეთის 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ, რომელმაც პირისაგან მიწისა აღგავა რუსეთის იმპერიის. 1917 წლის 2 მარტს ტახტიდან გადადგა რუსეთის უკანასკნელი იმპერატორი ნიკოლოზ II. რუსეთის იმპერიის აღსასრულმა სულ მოკლე დროში უკვე მეორედ კარდინალურად შეცვალა ვითარება რუსეთსა და საქართველოში. უმთავრესი ამ ცვლილებაში ის იყო რომ ქართულ ეროვნულ მოძრაობას ხელსაყრელი ვითარება შეექმნა თავისი პროგრამის რეალიზებისათვის.

თბილისი ამ დროისათვის წარმოადგენდა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის ცენტრს. ქართულ ეროვნულ ძალთა გვერდით თბილისში ცდილობდა ორგანიზებას სომეხთა და აზერბაიჯანელთა ეროვნული ძალები.

ნიკოლოზ II-ის ტახტიდან გადადგომისთანავე რუსეთის მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს წევრმა, რუსეთში დიდი პოპულარობისა და ავტორიტეტის მქონე პოლიტიკურმა მოღვაწემ,



სხედან (მარცხნიდან მარჯვნივ): ნიკო ნიკოლაძე, აკაკი ჩხენკელი და ზურაბ ავალიშვილი; დგანან: სპირიდონ კვიციანი, გიორგი მაჩაბელი და მისაკო წერეთელი (1917 წ.)

ქართველმა სოციალ-დემოკრატმა ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძემ თავისთან იხმო გიორგი (გოგიტი) ფალავა და ტელეგრაფში თბილისში გადასაცემად გაატანა დეპუტის ტექსტი. კონსპირაციის მიზნით დეპუტის ტექსტში ქართული სიტყვები რუსული ასოებით იყო დაწერილი: „მთავრობაზე გარდაიცვალა. შეატყობინეთ ნათესავებსა და ახლობლებს.“ სწორედ ამ ტელეგრამით გაიგეს თბილისში რომანოვების იმპერიის აღსასრული.

თბილისი კავკასიის სამხრეთნაცვლო ადმინისტრაციის ცენტრს წარმოადგენდა. ბოლო მეფისნაცვალი იყო დიდი მთავარი ნიკოლოზ რომანოვი. როგორც კი ნიკოლოზ მეორის ტახტიდან გადადგომის ამბავი შეიტყო მეფისნაცვალმა თავისთან მიიწვია თბილისის ქალაქის თავი ალექსანდრე ხატიშვილი, ასევე პოლიტიკურ პარტიათა და საზოგადოების წარმომადგენლები და განუცხადა, რომ იგი ტოვებდა თბილისს და სთხოვდა მასთან შეკრებილთ ეზრუნათ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და ქვეყნის უშიშროებაზე.

რუსეთის იმპერიის მოულოდნელმა აღსასრულმა ქართულ პოლიტიკურ ელიტაში გარკვეული დაბნეულობა გამოიწვია. თავისი ანტირუსული განწყობილებით ცნობილია ეროვნულ-დემოკრატებმაც კი ვერ შეძლეს ვითარებაში გარკვევა და პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა. ამით ისარგებლა რუსეთის დროებითმა მთავრობამ და კავკასიის სამეფისნაცვლონი და-ნიშნა ხელისუფლების სამხარეო ორგანო — ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი), რომელიც ეროვნული და პარტიული პრინციპით იყო შექმნილი. ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ეროვნულ ძალებს შეეძლოთ წინ აღდგომოდნენ ოზაკომის ფუნქციონირებას, მაგრამ ეს არ მოხდა. პოლიტიკურმა პარტიებმა ოზაკომთან თანამშრომლობა არჩიეს. მიუხედავად ამისა, ოზაკომი ბოლომდე დარჩა სამხარეო ხელი-სუფლების უსუსურ ორგანოდ. რომ არა კავკასიის ფრონტზე განლაგებული რუსეთის არმია, ოზაკომი საერთოდ ვერ შეძლებდა თავისი ფუნქციების შესრულებას.

ქართულ პოლიტიკურ ძალთა ორგანიზების მიზნით პირველი ნაბიჯი მხოლოდ 1917 წლის აპრილის დამდეგს გადაიდგა. აპრილში შესაძლებელი გახდა საქართველოს პირველი და მე-



საქართველოს სახელმწიფოებრივი დაიოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისს

ორე ინტერპარტიული კრებების ჩატარება. ამ კრებებზე წარმოდგენილი იყვნენ სოციალ-დემოკრატები, ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები. მიუხედავად უთანხმოებისა და ზოგიერთი არასწორი პოლიტიკური გადაწყვეტილებისა, ინტერპარტიულმა კრებებმა შეძლეს სამოქმედო პროგრამის განსაზღვრა. ეს პროგრამა შემდგომში პერიოდულად იხვეწებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ 1917 წლის აპრილიდან მომდევნო თვეებში ინტერპარტიული კრების მონაწილე პოლიტიკურმა პარტიებმა ორგანიზაციული თვალსაზრისით გარკვეული ნაბიჯები გადადგეს და 1917 წლის აგვისტოში საქართველოს ინტერპარტიული საბჭო შექმნეს. არც საქართველოს პირველ და მეორე ინტერპარტიულ კრებებზე და არც საქართველოს ინტერპარტიულ საბჭოში, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი არ დასმულა. ეს ძირითადად განპირობებული იყო სოციალისტური ორიენტაციის ძალების (სოციალ-დემოკრატების, სოციალისტ-ფედერალისტების, სოციალისტ-რევოლუციონერების) პრორუსული ორიენტაციით. თუმცა, დამკვიდრებული თვალსაზრისის სანაწინააღმდეგოდ უნდა აღინიშნოს, რომ იმ ხანებში არც ეროვნულ-დემოკრატებს ნამოუყენებიათ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნა.

ყველაზე რადიკალური მოთხოვნა რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში ფართო უფლებებით აღჭურვილი საქართველოს ავტონომიის შექმნა იყო. ეროვნულ-დემოკრატებმა რუსეთთან კონფედერაციული კავშირის დამყარების იდეაც წამოაყენეს, მაგრამ, როგორც პოლემიკიდან გაირკვა, ეს კონფედერაცია არსით იგივე ფართო უფლებებით აღჭურვილ ავტონომიურ ერთეულს უტოლდებოდა, ანუ პრაქტიკულად ეროვნულ-დემოკრატებზე რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში ფართო უფლებებით აღჭურვილი საქართველოს ავტონომიის იდეას უჭერდნენ მხარს. სხვა უარყოფითი მოვლენებთან ერთად განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ის, რომ შედარებით დაბალ პოპულარული იყო რუსეთის შემადგენლობაში არა საქართველოს, არამედ ამიერკავკასიის ავტონომიური ერთეულის შექმნის იდეა.

ქართულ პოლიტიკურ ელიტაში ცხარე პოლემიკას დასასრული არ უჩანდა, როცა უკვე მესამედ კარდინალურად შეიცვალა პოლიტიკური ვითარება. 1917 წლის 24-25 ოქტომბერს ბოლშევიკებმა პეტროგრადში კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება განახორციელეს და რუსეთის კანონიერი დროებითი მთავრობა დაამხეს. დროებითი მთავრობის სამართალმემკვიდრე საბჭოთა რუსეთის მთავრობა იმავითვე შეუდგა რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე ახალი საბჭოთა იმპერიის შექმნას. ეს თავისთავად ნიშნავდა, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობა, მისი პოლიტიკური ლიდერები (ვლადიმერ ლენინი, იოსებ სტალინი, ლევ ტროცკი და სხვ.) სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდებოდნენ ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნისათვის მებრძოლ ძალებს, მათ შორის, ქართულ ეროვნულ მოძრაობას.

რუსული ბოლშევიზმისა და საბჭოთა ხელისუფლების ბუნების კარგად მცოდნე ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების — ნოე ჟორდანიას, აკაკი ჩხენკელის, ნოე რამიშვილის, ევგენი გეგეჭკორისა და სხვათა ინიციატივით მოხდა ამიერკავკასიის პოლიტიკურ ძალთა გაერთიანება და 1917 წლის 15 ნოემბრიდან თბილისში ფუნქციონირებას შეუდგა ამიერკავკასიის სამხარეო ხელისუფლების ახალი ორგანო — ამიერკავკასიის კომისარიატი (თავმჯდომარე ევგენი გეგეჭკორი). ამიერკავკასიის

კომისარიატის შექმნით ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანულ პოლიტიკურ მოღვაწეებს სურდათ წინ აღდგომოდნენ საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიერ ამიერკავკასიის სამხარეო ხელისუფლების ორგანოს დანიშნვას, ანუ ამიერკავკასიაზე საბჭოთა რუსეთის მთავრობის იურისდიქციის გავრცელებას. ამიერკავკასიის კომისარიატი არ ცნობდა საბჭოთა რუსეთის მთავრობას, თუმცა, შესაძლებლად მიანდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობის შემდეგ რუსეთის დემოკრატიულ სახელმწიფოში ამიერკავკასიის ავტონომიური ერთეულის არსებობა.

ქართული ეროვნული მოძრაობის ისტორიაში უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს (თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი) ინიციატივით მოწვეული საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა. ყრილობა 1917 წლის 19 ნოემბერს გაიხსნა თბილისში. იმის გამო, რომ ყრილობაზე სოციალისტური ორიენტაციის ძალები (სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები) სჭარბობდნენ ეროვნულ ძალებს (ეროვნულ-დემოკრატებს, უპარტიოებს), ყრილობამ პრორუსულ ორიენტაციას დაუჭირა მხარი. უნდა აღინიშნოს, რომ, როდესაც პრორუსულ ორიენტაციაზე იყო საუბარი, იგულისხმებოდა არა საბჭოთა, ბოლშევიკური რუსეთი, არამედ დემოკრატიული რუსეთი. ყრილობაზე ისიც აღინიშნა, რომ, თუ რუსეთში საბჭოთა ხელისუფლება არ დამხობოდა და დემოკრატიული წყობილება არ გაიმარჯვებდა, მაშინ უნდა მოწვეულიყო საქართველოს დამფუძნებელი კრება. ყრილობის დოკუმენტებში არ ჩანებოდა, მაგრამ დასველები ცხადი იყო, რომ დამფუძნებელ კრებას უნდა დაკისრებოდა ერთადერთი მისია — საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით ამ იდეის რეკლამირება მაშინ არ ხდებოდა.

საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის მიერ პრორუსული ორიენტაციის დადასტურება შემდეგი მიზეზებით იყო განპირობებული. იმხანად ოსმალეთის (თურქეთის) არმიის შემოტევისაგან საქართველოს და მთელ ამიერკავკასიის რუსეთის არმია იცავდა. პირველი ეროვნული ყრილობის დელეგატების ის ნაწილი, რომელნიც პრორუსულ ორიენტაციას უჭერდა მხარს და საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევის იდეის რეკლამირებას არ ახდენდა, ამტკიცებდა, რომ ანტირუსული ლოზუნგები რუსეთის კავკასიის არმიაში მღელვარებას გამოიწვევდა. ამის საბაზი ნამდვილად იყო. ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნა რუსეთის კავკასიის არმიის სარდლობამ რუსეთისაგან საქართველოს გამოყოფად აღიქვა, არმიის სარდლობა იმუქრებოდა, რომ ფრონტის ხაზს მიატოვებდა და არმიას რუსეთში დააბრუნებდა. თბილისთან სპეციალურად გაგზავნილი პოლიტიკოსებმა შეძლეს რუსი სამხედროების დარწმუნება, რომ ამიერკავკასიის კომისარიატი არ ცნობდა და ემიჯნებოდა მხოლოდ საბჭოთა რუსეთის მთავრობას და არა მომავალ დემოკრატიულ რუსეთს. პირველ ეროვნულ ყრილობაზე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეის ღიადა და ფართოდ რეკლამირება ქართველი პოლიტიკოსების უმრავლესობამ საშიშად მიიჩნია. ისინი თვლიდნენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის წამოყენების შემთხვევაში რუსეთის არმია ან ფრონტის ხაზს მიატოვებდა და საქართველოს ტერიტორიას დატოვებდა, რაც გზას გაუხსნიდა ოსმალეთს საქართველოს ოკუპაციისათვის ან რუსეთის არმია თვითონ მოახდენდა საქართველოს ოკუპაციას. რუსეთის არმიის კეთილგანწყობის იმედად ყოფნა არ შეიძლებოდა. მართალია, ამ დროისათვის რუსეთის კავკასიის არმიის სარდლობა არ ცნობდა საბჭოთა რუსეთის მთავრობას, მაგრამ არავინ არ იცოდა რა პოზიციაზე დადგებოდა არმია მომავალში. სწორედ ამ რეალურ საფრთხეს გაუწიეს ეროვნულ-დემოკრატებმა ანგარიში, როცა მათთვის არასასურველ პრორუსულ ორიენტაციას დაუჭირეს მხარი.

ზვანთა გურული

(გაზრკელება იმხანა)

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

რიგაში არასამთავრობო გაერთიანებები მოუწოდებენ, საქართველოს მსდელთა აღნიშვნა

რიგაში დამთავრდა ქართული არასამთავრობო გაერთიანებების კონფერენცია. ევროკავშირის აღმოსავლური პარტნიორობის სამიტის დაწყებამდე ლატვიაში 2 დღით ადრე საქართველოს სამართალდაცვის ორგანიზაციებმა წარადგინეს ანგარიში იმის შესახებ, თუ საქართველო როგორ ასრულებს თავის ვალდებულებებს ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ.

„ჩვენ აქ ჩამოვედით არა იმისთვის, რომ გვექო და ან გაგვეკრიტიკებინა საქართველოს მთავრობა“, – განაცხადა „ტრანსპერენს ინტერნეშნლის“ საქართველოს ფილიალის ხელმძღვანელმა ევა გიგაურმა რიგადან. ორგანიზაცია, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, 5 სხვა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებასთან ერთად თვალყურს ადევნებდა იმას, თუ მთავრობა როგორ ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებებს სხვადასხვა სფეროში ევროკავშირთან წევრობის ასოციაციის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან.

„ჩვენ ვსაუბრობთ არა მხოლოდ იმის შესახებ თუ როგორ ასრულებს საქართველო თავის ვალდებულებებს, არამედ იმის შესახებაც, თუ რას უნდა მიაღწიოს კიდევ მან და როგორ შეუძლიათ ჩვენს ევროპულ პარტნიორებს დაგვეხმარონ ამ გზაზე. მთლიანად, დიას, საქართველო მართლაც ისწრაფვის ევროპული სტანდარტებისკენ. მთავრობამ გადადგა რამდენიმე დადებითი

ნაბიჯი სასამართლო რეფორმაში, რაც ევროკავშირის ერთ-ერთი მოთხოვნა იყო. მაგრამ პრობლემად რჩება დემოკრატიული ინსტიტუტების არასაკმარისი დონე და ადამიანის უფლებათა დაცვა“, – ამბობს ევა გიგაური.

დელეგაციის ხელმძღვანელი და პროექტის ორგანიზატორი, ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ დირექტორი ქეთი ხუციშვილი აღნიშნავს, რომ თითოეული სამეცნიერო-საწარმოო ორგანიზაცია მუშაობდა კონკრეტულ სფეროზე: საკითხი შეეხება ბრძოლას კორუფციის წინააღმდეგ, არაადამიანურ მოპყრობებსა და წამებებს, ბავშვების, ქალებისა და მშრომელთა უფლებების დაცვას, კანონის უზენაესობასა და პროკურატურის რეფორმას. შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურის რეფორმების დაწყების შესახებ მთავრობამ განაცხადა მხოლოდ რამდენიმე დღის წინათ.

ქეთი ხუციშვილის სიტყვებით, რიგა პრეზენტაციის ადგილად შემთხვევით არ ყოფილა შერჩეული:

„ჩვენ გვსურს, მოვუწოდოთ ევროკავშირს აქედან, რიგადან, გადადგას რიგე ნაბიჯი საქართველოს მთავრობის მცდელობის საპასუხოდ – შეასრულოს საშინაო დავალება. მზარი დაუჭიროს ქართველ ხალხს იმაში, რომ გაამართლოს საიზო რეჟიმი და გადამწყვიტოს სხვა საკითხები.“

მიუხედავად ამისა, თავად თბილისში მთავრობის წარმომადგენელთაგან სულ უფრო ხშირად გაისმის განცხადებები იმის შესახებ, რომ რიგის სამიტზე არ უნდა გვექონდეს დიდი იმედი ვიზუების ლიბერალიზაციის დადებითი გადამწყვეტილებების შესახებ. მთავარია, რომ ევროკავშირის ქვეყნებმა დადებითად შეაფასონ საქართველოს მთავრობის მუშაობა“.

დელისათვის ხელშეკრულების რატიფიკაცია საქართველოს ასოციაციის შესახებ ევროკავშირის 28 ქვეყნიდან 21 ქვეყანამ უკვე მოახდინა.



რუსეთსა და საქართველოს განზრახული აქვთ, გააფართოონ პირდაპირი მოლაპარაკებების ფორმატი

რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებების ფორმატი ფართოვდება. ამის შესახებ განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრის წარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობის მონეტარიუმის საკითხებში ზურაბ აბაშიძემ. მისი სიტყვებით, ეს მოხდება შეხვედრებში ახალი მონაწილეების ჩართვის ხარჯზე ორივე მხრიდან. კერძოდ, ესენი იქნებიან სპეციალისტები რუსეთისა და საქართველოს ეკონომიკის სამინისტროებიდან.

„ლოგიკური იქნება, თუ შეხვედრებში, რომლებზეც ჩვენ განვიხილავთ სავაჭრო-ეკონომიკურ საკითხებს, მონაწილეობას მიიღებენ ექსპერტებიც ეკონომიკური უწყებებიდან. ისინი არიან კომპეტენტურები და შეუძლიათ, უფრო დეტალურად ჩასწვინდონ სიღრმეში ვაჭრობის, ტრანსპორტისა და ა.შ. თემებში. სწორედ ამიტომ ჩვენ გადაწყვიტეთ ჩავეერთო ეკონომიკური ექსპერტები როგორც ჩვენი, ისე რუსეთის მხრიდან“, – განუცხადა აბაშიძემ ჟურნალისტებს 14 მაისს.

აბაშიძის შემდგომი შეხვედრა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინთან გაიმართება პრაღაში ივნისში, და გარდა ტრადიციული საკითხებისა, ამჯერად მხარეები ასევე განიხილავენ შეთანხმებას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან დაკავშირებით, რომელიც გაფორმდა ჯერ კიდევ 2011 წელს და რომელიც ითვალისწინებს ვაჭრობის საერთაშორისო მონიტორინგს გამტარ პუნქტებზე სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან ადმინისტრაციულ საზღვრებზე შვეიცარიის მონაწილეობით.

შეგახსენებთ, რომ აბაშიძისა და კარასინის შეხვედრები რუსეთსა და საქართველოს მთავრობებს შორის პირდაპირი მოლაპარაკებების ერთადერთი ფორმაა. ეს ფორმატი ითვალისწინებს მხოლოდ ჰუმანიტარული და სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების განხილვას ქვეყნებს შორის. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი არის

კავკასიაში სტაბილურობისა და უშიშროების საკითხებზე, უნევეის დისკუსიების განხილვის საგანი.

ოპოზიციის რეაქცია

საპარლამენტო ოპოზიცია, რომელსაც წარმოადგენს ორი პარტია – ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, რომელსაც სათავეში ექსპერტიდენტი მიხეილ სააკაშვილი უდგას და შარშან ნოემბერში მმართველი კოალიციიდან გამოსული „თავისუფალი დემოკრატები“, – ნეგატიურად აღიქვამს ახალ ამბავს რუსეთ-საქარ-



თველოს მოლაპარაკებების ფორმატის გაფართოების შესახებ. საქმე ისაა, რომ 13 მაისს გრიგორი კარასინმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ „ორივე ქვეყნის ხელმძღვანელობის დავალებით“ იგი და მისი ქართველი კოლეგა მუშაობენ სწორედ „კონტაქტების უფრო მაღალი დონისთვის შესაბამისი ნიადაგის მოსამზადებლად“.

დაპირისპირებული ფორმატი?

პოლიტოლოგი სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების საქართველოს ფონდიდან კახა გოგოლაშვილი მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობისთვის სულ უფრო რთული ხდება, გაამართლოს კარასინისა და აბაშიძის მოლაპარაკებების არსებული ფორმატი. განსაკუთრებით, ამბობს ის, მას შემდეგ, რაც 2012 წლიდან – თბილისის მცდელობის ფონზე მონეტარიუმის ურთიერთობანი მოსკოვთან – რუსეთ-

მა გადადგა „შემდგომი აგრესიული ნაბიჯები საქართველოსთან ურთიერთობაში 2014 და 2015 წლებში“. საკითხი შეეხება მოკავშირეობის შესახებ შეთანხმებას აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან, რამაც, ქართველი ექსპერტის სიტყვებით, ურთიერთობაში „საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის სტადიიდან გადაიყვანა მათი ანექსიის სტადიაში“.

ექსპერტის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მოლაპარაკებების ფორმატი ითვალისწინებს მხოლოდ სავაჭრო და ჰუმანიტარული საკითხების განხილვას, როდესაც საკითხი შეეხება ანექსიას, შეუძლებელია, მთლიანად გამოყო ეკონომიკა პოლიტიკისაგან. შესაბამისად, პოლიტოლოგს მიაჩნია, რომ ამ მოლაპარაკებებს არა აქვთ მომავალი, ვინაიდან „რუსეთის მიერ აგრესიის გაგრძელების“ პარალელურად, მათ არ შეუძლიათ გაფართოვდნენ იმ ფარგლებში, რომლებიც მათთვის იყო განსაზღვრული. რაც შეეხება კონკრეტულ საკითხებს, ექსპერტის სიტყვებით, იმის გამო, რომ ქვეყნებს შორის არ არის დიპლომატიური ურთიერთობანი, არსებობს შუამავლის მექანიზმი შვეიცარიის საელჩოს სახით, რომელიც ამ შემთხვევაში შეიძლება გამოიყენოს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი მაღსაზ მაცაბერიძე იზიარებს მსგავს აზრს. მისი სიტყვებით, კარასინისა და აბაშიძის მოლაპარაკებების ფორმატი მოფიქრებული იყო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა გაუმჯობესების მიზნით, მაგრამ, როგორც ჩვენთან ინტერვიუში აღნიშნა, მას შემდეგ რაც ამოქმედდა დიალოგი, რუსეთმა გააგრძელა საქართველოს ტერიტორიების „მცოცავი ოკუპაცია“.

„უნდა იყოს მეტი სიძნედე ამ მოლაპარაკებათა არსთან დაკავშირებით, თუმცა რუსეთის ანექსიის ფონზე იმაზე საუბარი, რომ ეს შეხვედრები მთლიანად ეფექტიანია, ძალიან რთულია“, – მიაჩნია ექსპერტს.



დედაქალაქის ზურგზე



ქორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ გაიარა გენერალური მდივანის ნება არ მისცა, მოინახულოს ქონის სამრეწველო ზონა

ადრე პან გი მუნის მოგზაურობა მოინდონეს როგორც სულში, ისე ფხენიანში. გენერალური მდივანი აპირებდა, მოენახულებინა სამხრეთ კორეის კომპანიები და შეხვედროდა ჩრდილოეთ კორეის მუშებს, რომლებიც წარმოებაში არიან დასაქმებული, მაგრამ მოგვიანებით კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიურმა არხებმა აცნობეს გაეროს ხელმძღვანელს წინა გადაწყვეტილების უკან წაღების შესახებ.

იაპონია მზადაა, გააფართოოს რუსეთთან მშვიდობიანი ხელშეკრულება ტოკიოში პუტინის ვიზიტის დროს



„მინდოდა, გადავსულიყავი პოლიტიკურ თემაზე – ჩვენ გვინდოდა, დაგვედო სამშვიდობო ხელშეკრულება, გადაგვეწყვიტა ტერიტორიული პრობლემა. და ამისთვის ჩვენ გვსურდა, რომ პუტინი ჩამოსულიყო იაპონიაში. პრემიერ-მინისტრი სინძო აბე ძალიან სერიოზულად ფიქრობს ამაზე“, – განაცხადა სახელმწიფო დუმის სპიკერთან სერგეი ნარიშკინთან შეხვედრის დროს ტოკიოში იაპონიის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრმა მასახიკო კომურამ.

„გაშენებოდა“ ყოფილი საელჩო ახალი ავსტრიაში სხოვრების ნება, ამჟამინახს პრესა

ვენის საადგილმამულო სასამართლოში წინასწარ მოსმენაზე ურალ რახიმოვის არაფერი არ მიუსაჯეს, იგი თავისუფლებაში რჩება. ზოგიერთი მონაცემით, პროკურატურას არ წამოუწვია ეს საკითხი იმასთან დაკავშირებით, რომ ბიზნესმენმა მიიღო საცხარებელი და იმედი აქვს, რომ მალე გახდება ამ ქვეყნის მოქალაქე.

ქრუიული ლინეარი აპირიქის შეერთებული შტატებიდან თავისუფლება ღარჩა ბერძნის ქნეკულებთან, მის ბორბზე 3700-ზე მეტი კახია

კრუიული კომპანიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ნავსადგურიდან გამოვლის დროს ლაინერმა სვლა დაკარგა, რის გამოც დარჩა თავთხელზე ლაინერს ჯავშანში ნახვრეტები არ მიუღია, ამჟამად სპეციალისტები იკვლევენ ხომალდს. დაზარალებულთა შესახებ არ იტყობინებიან.



დასაბამიდან საომარ ლელოდ გადაქცეული საქართველო, უამბიდან – უამბედ ნიკოფსიდან დარუბანდამდის რომ იყო გადაჭიმული, დღესაც, როგორც ანა-ერთხელ დაკუწულ-დაჩეხილი, მართლაც მცირე ყურედ თუ აღიქმება თანამედროვე მსოფლიოს თვალში. ამინანით იგი კვლავ კავკასიონის კლდეზეა თითქოს მიჯაჭვული და ისევ ისე გულ-ღვიძლს უკორტნიან გარეშე თუ შინაური ყვავ-ყორნები. მაშინდელი, ანუ უხსოვარი დროიდან მოყოლებული დღემდის, ოდ-ნავ მომძლავრებული და სხვისი მიწა-სადგომის დაპატრონების იტაზე მოსუ-ლი არცერთი დამპყრობელი სახელმწიფო არ ყოფილა, რომ ჩვენს სამშობ-ლოზე არ გამოლაშქრებულიყო, თვეებიდან, თითქმის საუკუნეებამდის მაინც ება-ტონათ ჩვენზე და ქართველთა სისხლის დაღვრის, გადასახლება-აწიოვების გარდა, ქვეყნის გადაწვა-გადაბუგვაც ჰქონდათ მიზნად დასახული. გვერნი მათგანი და თითქმის უმეტესობა დღევანდელ მსოფლიო რუკაზე აღარ არსებობს – აღიგა-ვენ პირისაგან მიწისა, მაგრამ საქართველო კი დღეთს ძალით და შეწევნით კვლავ განაგრძობს კავკასიაში, ამ მეტად არეულ გეოპოლიტიკურ ზონაში არ-სებობას. დამართმა ასე ინება დავრჩენილიყავით, დიდებული ჰავიოგრაფის იოანე საბანისძის თქმისა არ იყოს – „დაბთომილი მართ ყურესა ამას“...



ალიან-ჩალიანი

ჩვენი იმიჯის სხვადასხვადას

This is Life – ამ სახელწოდებით მსოფ-ლიოს წამყვანი ტელეკომპანიების ეთერ-ით საქართველოს საიმიჯო ვიდეო-რგოლი გადაიცემა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზ-მის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორ-მაციით, საქართველოს რეკლამა Euro-News-ზე 17 მაისიდან, CNN-ზე კი 18 მაისი-დან გადის. 30-წამიანი საიმიჯო რგოლი CNN-ისა და EuroNews-ის მრავალმილიონ-იანი მაყურებლებს საქართველოს ტუ-რისტულ პოტენციალს აცნობს.

ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაცი-აში იმედოვნებენ, რომ ძალიან ეფექტუ-რი შედეგი ექნება რეკლამას, რომელიც 21 კვირის განმავლობაში იტრიალებს EuroNews-ზე. EuroNews-ს 400-მილიონიანი აუდიტორია ჰყავს, მაუნყებლობს 14 ენა-ზე 155 ქვეყანაში.

ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაცი-ამ უკვე დაიწყო მომზადება ზაფხულის ტურისტული სეზონისათვის. დაიწყო აქ-ტიური მარკეტინგული კამპანიები აზერ-ბაიჯანში, თურქეთში, უკრაინაში, ყაზა-ხეთში, ბელორუსიაში, ლატვიაში, უნგ-რეთში, ისრაელში, რუსეთში. 2015 წელს საზღვარგარეთ ზაფხულის მარკეტინგუ-ლი კამპანიებისთვის ბოლო წლებთან შე-დარებით ბევრად მაღალი თანხა, კერძოდ 8 000 000 ლარი დაიხარჯება.

სპანჭაპარ სომხეთში დარკობისტირდა

მძის ქართულ ადგილწარმოშობის და-სახელებაზე სომხეთის რესპუბლიკის ინ-ტელექტუალური საკუთრების სააგენ-ტომ სარეგისტრაციო მოწმობა გასცა. „წინადადის“, „ახაშენის“, „ქიქმარაუ-ლის“, „ხვანჭყარის“, „მანავის“ და „მუკუ-ზანის“ დასახელებაზე განსაკუთრებული უფლება, სომხეთის რესპუბლიკის ტერი-ტორიაზე სსიპ „ღვინის ეროვნულ სააგენ-ტოს“ მიენიჭა.

საქართველოს ინტელექტუალური სა-კუთრების ეროვნულმა ცენტრმა – საქა-ტინტმა ზემოაღნიშნულ ადგილწარმო-შობის დასახელებებზე სომხეთის რეს-პუბლიკის ინტელექტუალური საკუთრე-ბის სააგენტოში განაცხადები ერთი წლის წინათ შეიტანა, რაც დადგენილი პროცედურების გავლის შემდეგ წარმა-ტებით დასრულდა. 06ტმარკსი

და შთომილ ვართ ყურესა ამას...

მწარალი, რომელსაც საქვეყნო საფიქრალი ერთი წუთითაც არ განაღებია

სწორედ ამ საერთო სათაურით გაუერ-თიანება ცნობილ მწერალსა და პუბლი-ცისტს, რამდენიმე მხატვრული თუ პუბლი-ცისტური წიგნის ავტორს, ეროვნული მოძ-რაობის აქტიურ წევრს, რევამ ინანიშვილისა და დაავით აღმაშენებლის სახელობის პრე-მიების ლაურეატს ქალბატონ ციალა არ-დაშელის ბოლო ოცდაათი წლის სიგრ-ძეზე შექმნილ-ნააზრევი, ისტორიულ-მხატ-ვრული და პუბლიცისტური წერილები ამ შე-სანიშნავ წიგნში, რომლის გამოცემაც „მერ-დიანისთვის“ მიუძღდა და, სამწუხაროდ, ფი-ნანსური გაჭირვებისა, სულ რამდენიმე ასე-ული ცალი ეგზემპლარი დაუბეჭდავს. ვი-საც კი ავტორის წყალობით ხელში ჩავარ-დნია ეს შესანიშნავი წიგნი, არც დაუმაღავს გაოცება მისი სრულყოფილებისა და, ამასთან ერთად, დიდი ინტერესი აქ მოთავსებული ნაწარმოების მიმართ, რომ-ელთა შინაარსიც უხსო-ვარი დროის ქართველუ-რი ტომების ისტორიიდან დღევანდლობამდე მოდის და უდიდესი პროფესიო-ნალიზმის გარდა, დიდი სევდა-ტკივილითაცაა და-წერილი. სწორედაც რომ დროული და მეტად საჭი-როა ამგვარი ნაწარმოე-ბების გამოცემა, შეძლების-დაგვარად მათი თარგმ-ნა, რათა არამარტო დღე-ვანდელმა ჩვენმა თაობამ, არამედ პროგრესულმა მსოფლიო საზოგადოებამაც გაიგოს და გაისიგრ-ძეგანოს თუ რანი ვართ და რანი ვიყავით „ყურესა ამას და შთომილნი“.


ქალბატონ ციალა არდაშელია გავლე-მული ავტორის ორ მოგზაურობაზე – ძვე-ლი ტაოს ტკვილეების ხელახლა გამოსა-გვად თურქეთს ჩამრძანებული და მშობ-ლიურ კერას დანატრებული ენგურსგაღმა მალულად გადასული ციალა არდაშელია. ერთი კუთხე სამუდამოდ სხვათათვის ქცე-ული და მეორე კი...

ქალბატონი ციალა სამურზაყანოელია, გვერ ქართველზე მეტადაც სტიკია თავი-სი კუთხე, იქ დარჩენილი სისხლი და ხორცი, როგორც უკანასკნელი მეციხოვნენი (მასხენ-დება მისივე უშესანიშნავესი კრებული „მოდი-ნახეს“ მეციხოვნენი“). წიგნში შესულია „უბე-დური ქვეყნის ყმა“ (რახან აფხაზეთის თე-მას შევხვები) – დიდი მამულიშვილი გიორგი შერვაშიძე, რომელიც ქუთაისში სტუმრად ჩამოსულ იმპერატორ ალექსანდრე III-ის დამხვედრ თავადთა და მოხელეთა სიდიდან ამოიღეს, როგორც არასასურველი პიროვ-ნება და ანტონუსული პოლიტიკის მომხრე, საქართველოზე თავგადაკლული აფხაზი რა-ინდი. განაწყენებული თავადი გიორგი შერ-ვაშიძე იხსნის თავის ფლიგელ-ადიუტანტის მათეთმს და ფეხებში მიუყრის გუბერნატორს. მასთან ერთადაა „შერისხულთა“ შორის ნიკო ნიკოლაძეც. თითქოს განაწყენებულიც არ უნდა ყოფილიყო დიდი აფხაზი, რადგან მო-ნაწილეობა არ მიიღო ტაკიპისხარა და ზი-ბილ-პიპილოებზე თავგადაკლულ ქართველ თავადანაურთა მასკარადში, ის ხომ გი-ორგი შერვაშიძეა, რომლისთვისაც ყველაზე ძვირფასი და სანატრელია:

„განგებავ! ამას ნუ მიწყენ ვერ გადაგვარადე ვეზარადა, ხანდახან დავიდუღუნო, მამაპაპური ვარადა“.

სწორედ ის გიორგი შერვაშიძეა, რომელმაც ჩაგრული საქართველოს შვილობა ამჯობინა პეტერბურგის სასახლეს, ყოველგვარ ჩინ-სა და სიმდიდრეს. სწორედ ამგვარ აფხაზებს ნატრობს ქალბატონი ციალა, რათა აღდ-გეს ის ჩატეხილი ხიდი, რომლის მაგივრად ჯერჯერობით ნაცნობი წყალმქეხებით უბედა გადასვლა მშობლიურ კუთხეში.

დასაწყისშივე აღვნიშნე, რომ ქალბატონ ციალას თავისი ნათქვამი-ნააზრევისთვის ისტორიულ-დოკუმენტური ჩანაწერები და-ურქმევია-მეთქი. მერამდენვერ გადავიხვი-სა და გააზრების შემდეგ მორიდებით შეე-კადრე ავტორს – ჩემი აზრით, აქ კოლხური თავმდაბლობის გამოისობით გიწოდებით „დოკუმენტური“, ეს ხომ ისტორიული ნაწარ-მოებია-მეთქი. მისგან, რა თქმა უნდა, უარი მივიღე, მაგრამ მე მაინც ჩემს აზრზე ვდგავარ – ეს არის მაღალგემოვნებანი ავტორის მიერ შექმნილი ისტორიულ-მხატვრული პრო-ზის შედეგნი.



წარდგინება

თბილისის „დინამოს“
გია გეგუჩაძე გაფორმების



გუშინ „დინამო არენას“ საბრეს-კონფერენციო დარბაზში გუნდის პრეზიდენტი რომან ფიფია საზოგადოებას კლუბის ახალი მთავარი მწვრთნელი გია გეგუჩაძე წარუდგინა.

მოს „ახალი მთავარი მწვრთნელი. გია გეგუჩაძე 10 წლის წინ მუშაობდა „დინამოში“ და, ვფიქრობ, დღეს დადგა ის დრო, როდესაც გეგუჩაძემ უნდა ჩაიბაროს ეს გუნდი, რომელსაც სჭირდება პროგრესი და სტაბილურობა, სხვა დანარჩენი ჩვენს კლუბში

არის. გუნდში გვეყავს ახალგაზრდა და ნიჭიერი ფეხბურთელები. ამ თაობამ უნდა გაახაროს ჩვენი გულშემატკივარი. ლეგიონერები იქნებიან თუ არა, ამას მთავარი მწვრთნელი გადაწყვეტს. მთავარია, შევძლოთ დავიყვანოთ მინიმუმამდე. „დინამო“ საქართველოში, რა თქმა უნდა, იბრძოლებს ყველა ტიტულისთვის. წარმატებებს ვუსურვებ გია გეგუჩაძეს.

გია გეგუჩაძე: ყველას მოგესალმებით და მადლობას გადაგიხდით მხარდხმებისთვის. მადლობა ბატონ რომან ფიფიას და კლუბის ხელმძღვანელობას. ჩემთვის აქ ყოფნა დიდი პატივი და ნდობაა. მადლობა „დინამოს“ გულშემატკივარს და იმ სამწვრთნელო შტაბს, რომელიც ჩემამდე მუშაობდა. ვეცდები ჩემი განცდები „დინამოსთან“ დაკავშირებით მარტივად და მალე მივიტანო გულშემატკივართან და იმხალსთან, ვინც მუშაობს გუნდში. წარმოგიდგინებ სამწვრთნელო შტაბს: **გია ჯიშკარიანი** – გუნდის უფროსი, **გურამ ასპინძელაშვილი** – მთავარი მწვრთნელის ასისტენტი, **დათო ჯანელიძე** – მეკარეების მწვრთნელი. გუნდის ფიზიკური მომზადების მწვრთნელი, ექიმი, მასაჟისტები და ადმინისტრაცია იგივე შემადგენლობით დარჩება. დრო ძალიან ცოტა გვაქვს, გამომდინარე იქიდან, რომ ევროსაფეხბურთელების უახლოესი მატჩი თვესაგვისვარში გვინევს.

მინიფეხბურთი

პიტომა გამოვისყიდით?!

სახელმწიფო ქართველ ფოტოფეხბურთელებს ალექსანდრე კოტორაშვილს არაერთხელ ატკინეს გული. მარტო ის ამბარზენი ფაქტი რად ღირს, მაშინდელ ცეკა-ში მოკალათებულმა მედროვე ჩინოვნიკებმა მისი გვარი დიუსელდორფში, დაუფინყარი 13 მაისის ფინალზე წამსვლელთა სიიდან რომ ამოიღეს და სამაგიეროდ ვიდაც ბობოლა მოიმაღლიერა, რითაც შთამომავლობას, ვინ იცის, თბილისის დინამოელთა 1981 წლის ევროპული ტრიუმფის ამსახველი რამდენი ისტორიული კადრი დაუკარგა.



რატომღაც თანამემამულეთაგან ერთგვარ მობოდიშებად აღვიქვი, როცა შევიტყვე, რომ საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სა-

ფინალური მატჩი სწორედ 13 მაისს უნდა გამართულიყო. როგორც ყველა სასიკეთო წამოწყებას, აღნიშნულ იდეასაც გამოუჩნდნენ თანამდგომნი – თსუ-ს უცხოენოვანი მედიცინის ფაკულტეტი, თვითმმართველობა (ხელმძღვანელი თარაკა შრინათა დუნუვლა), მისი სპორტისა და ხელოვნების წარმომადგენელი ხეტარა და ცენტრის დირექტორი ზაურ ფხალაძე.

მათი ძალისხმევით, დაბადებულ ტურნირში (მთავარი მსაჯი ვახტანგ ბაქანიძე) 12 გუნდი ჩაება, გადამწყვეტი მატჩები კი ასე დასრულდა: **ნახევარფინალი.** ნიგერია 1 – ერაყი 2, პენალტებით 4:3. (ძირითადი დრო 2:2). ნიგერია 2 – ერაყი 1, 5:3. **ფინალი.** ნიგერია 1 – ნიგერია 2, დამატებით დროში 2:1. (ძირითადი დრო 1:1). ინდივიდუალური პრიზებით დაჯილდოვდნენ გამორჩეული მონაწილენი: **მეკარე** – სამსონ ჩუკვუმა ოკოროავორი, **ბომბარდირი** – იკემეფუნა ისრაელ ონუოჰა (11 გოლი) და საუკეთესო მოთამაშე, ფინალში ოქროს გოლის ავტორი კლიფ ჯუა (ყველა ნიგერი), აგრეთვე ერაყელი სტუდენტები იასირ თაირ სადამი და ჰოსინ ალაა.

გიორგი შოთაძე



წლოვა

ბათუმი სუთქიდი მსოფლიოს
ჩემპიონატს უმასპინძლებს

გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში ტარიელ ხეჩიკაშვილისა და თანამედროვე სუთქიდის საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტის კლაუს შორმანის შეხვედრა გაიმართა. მხარეებმა 17-22 სექტემბერს ბათუმში დაგეგმილი სუთქიდის მსოფლიოს ჩემპიონატის მომზადებელი ეტა-

სამზადებელი ეტაპის შესაფასებლად და სპორტის მინისტრთან შესახვედრად ჩამოვედი. ასევე გუშინ ბათუმში ქალაქის და რეგიონის მმართველებს შევეხვი. სამუშაოები დავათვალიერე და შთაბეჭდილებების ქვეშ ვარ. როცა უკან დავბრუნდები, ჩემ კოლეგებს მოვახსენებ, რომ ყველაფერი



პის შესახებ ისაუბრეს. შეხვედრის შემდეგ კლაუს შორმანმა აღნიშნა, რომ მოსამზადებელი ეტაპით კმაყოფილია და დარწმუნებულია, რომ ბათუმში ტურნირს ღირსეულად უმასპინძლებს.

ტარიელ ხეჩიკაშვილი (სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი): ბათუმში ძალიან მასშტაბური და მნიშვნელოვანი ტურნირი გაიმართება. დარწმუნებული ვარ ეს ჩემპიონატი მალაღ დონეზე ჩატარდება. მსგავსი ღონისძიებები ქვეყნის პოპულარიზაციას უწყობს ხელს. მოხდება სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაცია და ვიმედოვნებ, ჩვენთვის რაც მთავარია, სპორტის ამ სახეობაში ბევრი ახალგაზრდა ჩაერთვება.

კლაუს შორმანი (თანამედროვე სუთქიდის საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტი): „საქართველოში მსოფლიოს ჩემპიონატის მო-

კარგად მიდის და ბათუმში წარმატებული ჩემპიონატი ჩატარდება. მიხარია, რომ ბათუმში უმასპინძლებს სუთქიდის მსოფლიოს ჩემპიონატს. მადლობას ვუხდით მთავრობას, სამინისტროს, მოხალისეებს, ასევე მედიას და მოვეულოდებ, რომ აქტიურად გააშუქოს სპორტის ეს სახეობა“.

ბათუმი 17-22 სექტემბერს სუთქიდის სახეობებში ბიატლსა (ცურვა, სირბილი) და ტრიატლში (სროლა, ცურვა, სირბილი) მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. ტურნირის ფარგლებში ქალაქს 30 ქვეყნის 400-მდე მონაწილე ეწვევა.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი გვატემაში ჩატარდა, ბათუმის შემდეგ, 2016 წელს მსოფლიოს ჩემპიონატი ორლანდოში გაიმართება.

კობა კობახიძე

ფეხბურთი

„იუვენო“ და „ბარსა“ ფინალისთვის მაისურები აირჩიეს

უიფას ჩემპიონთა ლიგის 2014-2015 წლების სეზონის ფინალისტებმა ტურინის „იუვენტუსმა“ და კატალონიის „ბარსელონამ“ ფინალში თაყვანის მისაღების ფერები აირჩიეს. ორივე გუნდი ტრადიციული ფე-



რების მაისურებში ითამაშებს – „იუვენო“ შავ-თეთრ ზოლებში, ხოლო „ბარსა“ – ლურჯ-წითელში.

ეს გუნდები ჩემპიონთა ლიგის ფინალში ერთმანეთს 6 ივნისს ბერლინის „ოლიმპიაშტადიონზე“ დაუპირისპირდებიან და მიმდინარე სეზონის ევროპის უძლიერესი გუნდის ვინაობას გაარკვევენ.

მანუჩარ გიორგაძე

ინტერნეტიდან

ვიულის გზა ვიდეოლიდან კაკაოისკოპაზე

ამერიკელი ლამაზმანი მიშელ უოტერსონი ერთ დროს საკმაოდ ცნობილი მოდელი იყო და პოდუმიზე ისე გამართულად დააბოტებდა, როგორც ანდრეა პირლო მოედნის ცენტრში. მაგრამ შემდეგ მიშელის პიროვნებაში მოხდა, ცოტა არ იყოს, უცნაური ცვლილება და ახლა ეს გოგონა სულ სხვა საქმიანობა დაკავებულა.

ერთი სიტყვით, ამჟამად მიშელ უოტერსონი კარატისტია და ეს საქმიანობა კარგად გამოსდის, რომ რამდენიმე ხელშესახებ წარმატებას უკვე მიაღწია და არავინ იცის, მომავალში კიდევ რამდენ გოგონას ჩაუთეთქვავს გვერდებს და რამდენჯერ შეჰკვივლებს გამარჯვების აღსანიშნავად. როგორც თავად მიშელი ამერიკელ უურნალისტებთან საუბარში ამბობს, მოდელიდან სპორტში გადასაცვლელაზე მისმა მწვრთნელმა დაითანხმა, რომელიც ადრევე ხედავდა კარატეში მის ტალანტსა და ნიჭს. მიშელმაც გარისკა და აკი დაუფასა კიდევ...

როსტომ რაჭველიშვილი



© ისინა სავლის (თუ ფულის) ამახანო...



თბილისის კომრად ღირებულებები კომპო უნივერსიტეტში

საქართველოში კერძო უნივერსიტეტების სწავლის საფასური სახელმწიფო უნივერსიტეტების ფასს ბევრად აღემატება. სწორედ ეს არის მთავარი მიზეზი, რის გამოც, აბიტურენტთა დიდი ნაწილი ძვირად ღირებულ კერძო უნივერსიტეტში ჩაბარებისგან თავს იკავებს. bpn.ge შეეცადა, გაერკვია, რომელია ყველაზე ძვირად ღირებული კერძო უმაღლესი სასწავლებელი და რა პირობებზე სთავაზობენ აბიტურენტებს, სახელმწიფო უნივერსიტეტებისგან განსხვავებით.

„თავისუფალი უნივერსიტეტი“ საქართველოში ყველაზე მოთხოვნილი კერძო უმაღლესი სასწავლებელია, რომელიც საქართველოში 2007 წელს დაარსდა და მას შემდეგ დიდი პოპულარობით სარგებლობს. „თავისუფალი უნივერსიტეტი“ სულ 7 სკოლას აერთიანებს, აქედან 6 სკოლაში სწავლის წლიური საფასური 6950 ლარს შეადგენს. თუ ბიზნეს სკოლაში (ESM) მოისურვებთ სწავლის გაგრძელებას, 7850 ლარს გადახდა მოგიწევთ. უნივერსიტეტი ორიენტირებულია ინოვაციებზე და პრაქტიკაზე. აღსანიშნავია, რომ „თავისუფალი უნივერსიტეტი“ აბიტურენტთა დიდი ნაწილი 100%-იანი და 70%-იანი დაფინანსებით ირიცხება.



„კავკასიის უნივერსიტეტი“ ერთ-ერთი პრესტიჟული და მოთხოვნილი კერძო უმაღლესი სასწავლებელია საქართველოში, რომელიც ცხრა სკოლას აერთიანებს. სწავლის საფასური უნივერსიტეტში წლიურად 5900 ლარს შეადგენს. სახელმწიფო გრანტის მოპოვებასთან ერთად, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, უნივერსიტეტის გრანტი მიიღონ და სწავლის გაგრძელება შეძლონ თიან ფასად შეძლონ.

„ქართულ-ამერიკული“ უნივერსიტეტი (GAU)-საქართველოში 2001 წელს დაარსდა და 5 სხვადასხვა სკოლას აერთიანებს. საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების მსურველები „გაუში“ მიღებული ცოდნის საფუძველზე მარტივად ახერხებენ ჩაბარებას ევროპის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში. სწავლის საფასური 4000 ლარიდან 6000 ლარამდე მერყეობს.

„შავი ზღვის საერთაშორისო“ უნივერსიტეტი პოპულარული და სანდო კერძო უმაღლესი სასწავლებელია. წლიური სწავლის საფასური 2 940 ლარიდან იწყება და მისი მაქსიმალური ფასი 5 100 ლარს შეადგენს.

ძვირად ღირებულ კერძო უმაღლეს სასწავლებლებს შორის მოხვდა საქართველოს უნივერსიტეტი და საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი (სდასუ), სადაც სწავლის ღირებულება რამდენიმე ათასს აღემატება.

თიკო გურაშვილი

© სოციუმი

სუპერმარკეტებში პირველადი მოხმარების საბნებზე ფასები საბრძნობლად გაიზარდა!


რომორც მოსალოდნელი იყო, შემცირებული ეკონომიკის ზრდისა და გაუფასურებული ეროვნული ვალუტის ფონზე პირველადი მოხმარების საბნებზე მკვეთრად გაძვირდა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ თუ ახლო მომავალში ლარის კურსი არ დასტაბილურდება, ახლო მომავალში ფასების ზრდა გარდაუვალი იქნება. პარალელურად, ბანკებმა კრედიტორებს სესხები გაუძვირეს. ქვეყანაში შემნილი მძიმე ეკონომიკურ-სოციალურ ფონზე მთავარი ფინანსური დარტყმა მოსახლეობის ყველაზე ღარიბ ფენას მიადგა. სამწუხაროდ, ასეთების რიცხვი ჩვენს ქვეყანაში უკიდურესად დიდია. პროდუქტებსა და პიჯიენურ საშუალებებზე ფასების ზრდა განსაკუთრებით თვალშისაცემია დიდ სუპერმარკეტებში. მომხმარებელთა თქმით, მართალია ზოგიერთ პროდუქტზე პიპერმარკეტების კვლავ სთავაზობენ ფასდაკლების აქციებს, თუმცა, საერთო ჯამში, ფასები ბევრ პროდუქტზეა გაზარდილი. გასულ კვირას პროდუქტებზე ფასების ზრდის შესახებ ინფორ-

მაცია საქსტატმაც გამოაქვეყნა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, წინა თვესთან შედარებით, 2015 წლის აპრილში ფასები გაიზარდა გადაამაშუავებელ მრეწველობაზე, ქიმიურ წარმოებაზე, საკვებ პროდუქტებსა (სასმელების ჩათვლით) და თამბაქოს ნაწარმზე - 18,1%-ით. საქსტატის ინფორმაციით, 2015 წლის აპრილში, 2015 წლის მარტთან შედარებით, სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი 2,3 პროცენტით გაიზარდა, ხოლო 2014 წლის აპრილთან შედარებით კი, 8,7 პროცენტით. 2005 წლის საშუალოსთან შედარებით ინდექსი გაზარდილია 78,4 პროცენტით. bpn.ge შეეცადა, გაერკვია, რა მდგომარეობაა სამომხმარებლო ბაზარზე. როგორც აღმოჩნდა, ფასები ბევრ პროდუქტზეა გაძვირებული. შვირის ფანტელი, რომელიც ბევრი ოჯახისთვის დილის საუზმეა, 50 თეთრით არის გაძვირებული. თუ რამდენიმე თვის წინათ შვირის ფანტელი 1,70 თეთრი ღირდა, ახლა მისი შეძენა

სანთელი

გურამ ბზვანელი

დიდი, უღრმესი მწუხარების დღეები დაგვიდგა... გარდაიცვალა ჩვენი სამეგობროს მშენებელი და სიამაყე, გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სახელმწიფო პრემიისა და საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, თბილისის საპატიო მოქალაქე, ღირსების ორდენის კავალერი გურამ ბზვანელი. გურამი დაიბადა 1934 წელს თბილისში, დაამთავრა თბილისის №1 საშუალო სკოლა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და თბილისის კონსერვატორია.



სახელობის მესამე სამუსიკო სასწავლებელს, რომლის დახურვამაც გურამს მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენა. თბილისის საპატიო მოქალაქის, თბილისის ერთგულების ორდენის კავალერის, გურამ ბზვანელის არა მარტო ცხოვრება, საქმიანობა, შემოქმედება, არამედ სულის ყოველი სიმი დედაქალაქთან განუყრელად იყო დაკავშირებული. შემთხვევითი როდია, რომ თანამედროვე კომპოზიტორთა შორის გურამმა ერთ-ერთმა პირველმა შექმნა თბილისისადმი მიძღვნილი სიმღერა ნოდარ დუმბაძის ლექსზე „შენ ლალი ხარ“...

1955 წელს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ორკესტრთან გურამმა ჩამოაყალიბა ვოკალური კვარტეტი, რომელიც უდიდეს მოვლენად იქცა ჩვენი ესტრადის ცხოვრებაში და ერთ-ერთმა პირველმა საფუძველი ჩაუყარა ქართულ ჯაზურ ვოკალს. გურამი იყო ამ მეგობართა ჯგუფის სულისჩამდგმელი, მომღერალი და კომპოზიტორი. ამიტომაც თაობათა მესხიერებაში დამკვიდრდა ტერმინი „ბზვანელის კვარტეტი“.

ორკესტრისა და კვარტეტის კონცერტები და გასტროლები უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა, იწვევდა შინაგანი დღესასწაულის შეგრძნებას.

ამ დროისთვის გურამი უკვე იყო არაერთი ცნობილი სიმღერის ავტორი. „ჩავაქრე სანთელი“ კი, რომელიც მკვეთრად გამოხატავდა პიროვნების, ინდივიდის განცდებს, ბევრი ჩვენგანისათვის თავისებურ ჰიმნად იქცა. გურამის უბადლო ნიჭმა, უზადო მუსიკალურმა გემოვნებამ მომავალშიც განაპირობა მისი სიმღერების საყოველთაო აღიარება.

შესანიშნავი პედაგოგი და ორგანიზატორი გურამი მრავალი წლის მანძილზე წარმატებით ხელმძღვანელობდა თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. 23-ე მუსიკალურ ათწილედს და მ. ბალანჩივაძის

საინტერესო საფორტეპიანო, საგუნდო და საორკესტრო ნაწარმოებისა. მრავალ თეატრალურ სპექტაკლში და კინოფილმში, ქართულ ესტრადაზე ისმოდა და ისმის გურამის მუსიკა, მისი გულში ჩამწვდომი სიმღერები. გვჯერა, რომ ასე იქნება მარად და მარად.

გურამი იყო უსპეტაკესი, უმაღლესი ზნეობრივი თვისებების მქონე ადამიანი, სამაგალითო მეოჯახე. მისთვის აბსოლუტურად მიუღებელი იყო ნებისმიერი, თუნდაც სიტყვიერი ღალატი, ქედმაღლობა, ფლიდობა, მლიქვნელობა. ყოველდღიურ ცხოვრებაში მორცხადებული და სიტყვიერად მკაცრი, მეგობრულ წრეში იყო გულგახსნილი და მომფერებელი, ღვინისა და ჭირის პირველი გამზიარებელი, გვერდში ამომდგომი.

გურამის ერთ სიმღერაში იყო ასეთი სტრიქონი: „ჩემი პატარა ცხოვრების აუხდენელი ზღაპარი“... აუხდენელი გამოდგა ჩვენი ხანგრძლივი ცხოვრების ზღაპარიც. ვედარ ვიქნებით ბოლომდე ერთად, დიდი გურამიც შეუერთდა წასულ მეგობრებს. მაგრამ იცოდნენ, ჩვენი გურამი, ყოველთვის გაგისხენებთ და ვიცით - ნათელში გადასვლის შემდეგაც გაგვიღამაზებ და რჩენილ წუთისოფელს.

მემორატი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმად მწუხარებით იწყებენ, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის სამედიცინო საზოგადოების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, მედიცინის დღანდომილი მუსიკი, საქართველოსა და აფხაზეთის დამსახურებული ექიმი **დარეჯან ჯოჯუა-შურაია** და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჯუანშერ, ლია ზალდასტანიშვილები ღრმად მწუხარებას გამოთქვამენ შესანიშნავი პიროვნებისა და მუსიკოსის **გურამ ბზვანელის** გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 29 3-37-87; 568 82-09-84..




ლაზე ძვირად კვლავ ორაგული ფა-სობს. ასევე, მომატებულია „სკუმბრიაზე“ ფასი, თუ აქამდე 5,50 ლირდა, ახლა უკვე 6, 30 ლირს. რაც შეეხება რძის ნაწარმს, იმპორტირებულ პროდუქტებზე - იოგურტები, კარაქი, ნაღები, ფასები საგრძობლად გაზარდილია. მკვეთრი არაა, მაგრამ გარკვეული მანძილი შეინიშნება ქართულ პროდუქტებზეც. მოიმატა კვერცხის ფასიც - თუ აქამდე 10 ცენტის ფასში იყო, ახლა 11 ცენტრად გაიზარდა. სუპერმარკეტებში მათი ფასი 3, 50 თეთრამდეა მომატებული. სუპერმარკეტებში ფასების ცაქნობის შემდეგ მოხმარებლებსაც გავესაუბრეთ. თითოეული მათგანი გაზარდილი ხარჯებსა და გაძვირებულ ცხოვრებაზე ჩივის. **წინა, 35 წლის**, სამსახურიდან გვიან ვბრუნდები, შესაბამისად, შინ მისვლამდე მარკეტში შევიღვარ. მხოლოდ აუცილებელ პროდუქტს ვყიდულობ. ბოლო პერიოდში მქონია შემთხვევა, როცა ზოგიერთი პროდუქტი დავაბრუნე, რადგან დახლზე ისევ ძველი ფასებია მიკრული, სალაროსთან მისვლს კი გაძვირებულ ფასებს მიჩვენებს. ფასებში სხვაობა ერთ პროდუქტზე უკვე სულ მცირე, 30-40 თეთრს შეადგენს“.

სალომე გოგონია

ღღესასწაული

ღღეს უფლის ამაღლება!



21 მაისს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ღღესასწაულობს უფლის ამაღლებას.

აღდგომის შემდეგ უფალი იესო ქრისტე ორმოცი დღის მანძილზე მიწაზე იმყოფებოდა და მონაფეებს ათვერ გამოეცხადა. ამქვეყნად ხილული ყოფნის უკანასკნელ დღეს მან მოციქულებსა და მონაფეებს უბრძანა, იერუსალიმს არ განშორებოდნენ. ელენის მთაზე გაუძღვა მათ, იქ უქადაგა და სასწაულებრივი ძალის მოვლინება აღუქვა: „მიიღო სული წმიდა“.

უფალი იესო ქრისტეს ამაღლების დროს იქ ყოველად წმინდა ღვთისმშობელიც იყო. ამ სასწაულებრივ მოვლენას ეკლესია ამგვარად უგალობს: „სრულყავ რა ცხოვრებაი ჩვენი და ზეცისათა შეაერთენ ქვეყანისანი, ამაღლი დიდებით, ქრისტე ღმერთო, რომელი არასადა განეშორებო, მსხნელო, არამედ ჰკვი განუშორებლად და ეტყოდის საყვარელთა მათ შენთა: მე მხოლოდ ვარ თქვენთანა და ვერვინ შემძლებელარს ვნებად თქვენდა... „და, აჰა, მე თქვენ თანა ვარ, ვიდრე აღსასრულ(ებ)ამდე სოფლისა“...“

უფლის ამაღლებასთან დაკავშირებით ეკლესიამ დააწესა ღღესასწაული, რომელსაც აღდგომიდან მეექვსე კვირის ხუთშაბათს ყოველწლიურად აღასრულებს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II ბრძანებს: „უფალმა ინებოს ჩვენი ფერისცვალება, ჩვენი ამაღლება“.

P. S. ...საგულისხმა, რომ დღეს სრულდება მორიგი ფესტივალი – აღდგომიდან ამაღლებამდე – რომელიც უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II რამდენიმე წლის წინათ დააარსა.

ბიულები ლიპარტია

ცინცხალი ანეკდოტი

ყალი და ფეხები უცნაურად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. ფეხებს დაასველებ, ყელი გტკივა, ყელს ჩაისველებ, ფეხები არ გემორჩილება.

- სმა მივატოვე.
- ძალიანაც მიგქარავს. ეს იყო ერთადერთი, რაც კარგად გამოგდიოდა.

- მოში, რამდენი იქნება შეიდეჯერ რვა?
- ვყიდით თუ ვყიდულობთ?

- ძვირფასო, მინდა რომ შენთან დიდხანს და ბედნიერად ვიცხოვრო!
- ეუღლურტულეა ცოლი ქმარს.

- საყვარელო, შენ თუ ბედნიერად იცხოვრებ, მე დიდხანს ვერ გავატან.



ჩვენი კარაბადინი

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ინსულტს, ან, როგორც მას ძველად ეძახდნენ, აპოპლექსიკურ დარტყმას, უჭირავს მესამე ადგილი მთელი მსოფლიოს მოსახლეობის გარდაცვალების მიზეზთა შორის, გულისა და ონკოლოგიური დაავადებების შემდეგ.

ჩვენი ექსპერტია ექიმი-ნევროლოგი იპა ფარუაშვილი.

თუ ადამიანს აქვს გაზრდილი წნევა ან ზედმეტი წონა, ხშირი თავის ტკივილი ან თავბრუსხვევა, აგრეთვე, თუ ის ეწევა ან მის ახლო ნათესავებს 50-55 წლის ასაკში დამარტყიანი ინსულტი, მისთვის აბსოლუტურად აუცილებელია გაიაროს გამოკვლევა ნევროლოგთან. ყველა დანარჩენი ადამიანსაც, განსაკუთრებით 40 წლის შემდეგ, ამის გაკეთება არ ავსებდა.

ინსულტის პირველადი პროფილაქტიკა დიდ დროს არ მოითხოვს, სამაგიეროდ, დაგეგმარება თავი დავიზღვიოთ დაავადებისგან, რომელსაც თვალის ერთ დახამხამებაში სასველი ჯანსაღი ადამიანი უსუსურ ინვალადად შეუძლია აქციოს, ანდა მოკლას უმაღლე. ამიტომ არ უნდა გვეჩვენებოდეს დრო და საშუალებები აუცილებელი გამოკვლევებისათვის. მით უმეტეს, რომ ისინი ბევრი არაა. ყველაფერი, რაც საჭიროა, - ესაა გვესინჯოთ ნევროლოგს, გავიზომოთ წნევა, გავიაროთ ელექტროკარდიოგრაფია, ჩავაბაროთ სისხლის ჩვეულებრივი ანალიზი ქოლესტერინზე და შაქარზე, გავივლოთ ძილის არტერიების ულტრაბგერითი დუპლექსური სკანირება. თუ ყველაფერი ნესრიგშია - შეიძლება მივიღოთ ექიმთან უკვე ერთი წლის შემდეგ.

ხოლო, თუ ყველაფერი ძალიან კარგად არ იქნება, საჭიროა, გავიაროთ დამატებითი გამოკვლევა. მათს საფუძველზე დიაგნოზი შეიძლება დაისვას სენის სიმპტომების გამოჩენამდეც კი, ვინაიდან ზოგჯერ ისინი დროის მიხედვით ჩამორჩებიან უკვე მომხდარ ორგანულ ცვლილებებს. სხვათა შორის, სწორედ ამ მიზეზის გამო მიკროინსულტის ნიშნები ზოგჯერ უვლინდებათ პაციენტებს, რომლებიც არასოდეს უჩიოდნენ არც თავის ტკივილს, არც თავბრუსხვევას. მაგრამ არ არის საჭირო გავიაროთ ეს რთული და ძვირი გამოკვლევები ნევროლოგთან მისვლამდე, ვინაიდან არის რამდენიმე რეჟიმი და რომ ვიცოდეთ, კერძოდ, რა უნდა ვნახოთ, საჭიროა ნევროლოგმა მიუთითოს საჭირო დიაგნოზი. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოკვლევაზე დახარჯული ფული ქარში გადაყრილი ალმონდება და პროფილაქტიკური მკურნალობაც, რომელსაც ექიმი დანიშნავს, არ იქნება ეფექტიანი.

უფრო საყვარელოდ, მოგვინებს ნავიშუაოთ ცხოვრების წესის შეცვლაზეც. კერძოდ, შევეცადოთ დავიკლოთ თავბრუსხვევას. მაგრამ არ არის საჭირო გავიაროთ ეს რთული და ძვირი გამოკვლევები ნევროლოგთან მისვლამდე, ვინაიდან არის რამდენიმე რეჟიმი და რომ ვიცოდეთ, კერძოდ, რა უნდა ვნახოთ, საჭიროა ნევროლოგმა მიუთითოს საჭირო დიაგნოზი. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოკვლევაზე დახარჯული ფული ქარში გადაყრილი ალმონდება და პროფილაქტიკური მკურნალობაც, რომელსაც ექიმი დანიშნავს, არ იქნება ეფექტიანი.

უფრო საყვარელოდ, მოგვინებს ნავიშუაოთ ცხოვრების წესის შეცვლაზეც. კერძოდ, შევეცადოთ დავიკლოთ


ბრუსხვევა, მერყეობა სიარულში, კოორდინაციის გაუარესება, გონების ნაწილობრივი ან სრული დაკარგვა.

თუნდაც ერთი სიმპტომის არსებობის დროს აუცილებელია გამოვიქცხოთ სასწრაფო დახმარება, ეს საგანგაშო სიმპტომები რომ გაჩნდეს დროებით და გაქრეს. ასევე მეტად მნიშვნელოვანია, სპეციალისტების მოსვლამდე არ შევეცადოთ მკვეთრად დავიკლოთ არტერიული წნევა - ამან შეიძლება, ინსულტის უფრო სწრაფი განვითარების პროვოცირება გამოიწვიოს. პიპოთენზური წამლები შეიძლება მივიღოთ მხოლოდ ჩვეულებრივი, რეკომენდებული დოზებით.

სამწუხაროდ, ხშირად ადამიანები არ აქცევენ ყურადღებას ამ საგანგაშო ნიშნებს, ტკივილს კი იყუჩებენ ტკივილგამაყუჩებელი საშუალებებით. სისხლძარღვების სპაზმებს წამლები, რასაკვირველია, გვისხნის, მაგრამ პათოლოგიური პროცესი რჩება და იმეორე კერის განვითარებასთან მიყვავართ. მაგალითად, ბევრ ადამიანს ტვინში უვლინდება იმ მიკროინსულტების კვალი, რომლებიც მათ ფეხზე გადაიტანეს. ამიტომ ზემოთ ჩამოთვლილი თუნდაც ერთი სიმპტომის არსებობის დროს აუცილებლად უნდა გამოვიძახოთ „სასწრაფო“. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც უფრო გონივრულია, დავიზღვიოთ თავი.

დარბაზის ქვეშ

როგორ დავიხვამთ თავი ინსულტისგან



წონაში და თავი დავანებოთ მოწვევას. ხომ ცნობილია, რომ სიმსუქნე იწვევს შაქრის დიაბეტის, ათეროსკლეროზის პროვოცირებას და ზრდის პიპერტონიის საფრთხეს, მოწვევა კი ორჯერ ზრდის ინსულტის განვითარების რისკს.

უზადურბაზადი ერთ ნაბიჯზე

სწორედ, თუ დრო დაკარგეთ და ყველაზე საშიშელი რამ უკვე მოხდა? დანებებული ინსულტის სიმპტომები შეიძლება იყოს: მოულოდნელი თავის ტკივილი, სახის ასიმეტრია, სისუსტე ხელში ან ფეხში, მეტყველების ან მოსმენილის გაგების უნარის დაკარგვა, მხედველობის დარღვევა, თავ-

სხვათა შორის

ინსულტი აზიანებს ადამიანს მოულოდნელად და ელვისებურად. ტვინის უჯრედები უანგზადის გარეშე წ წუთის განმავლობაში იღუპება. ტვინის სისხლის მიმოქცევის მწვავე დარღვევის შედეგად ავადმყოფების 6 წ პროცენტი იღუპება, გადარჩენილთა რიცხვიდან ადამიანთა 75 პროცენტი რჩება ინვალადად და მხოლოდ 25 პროცენტი უბრუნდება წინანდელ ცხოვრებას. მაშინაც კი, თუ მოხერხდება ავადმყოფის გადარჩენა, ხშირად ინსულტის შედეგები შეუქცევადია. თავის ტვინის გამოთიშულ ნაწილთან ერთად პაციენტების ნახევარზე მეტი სამუშაოდ კარგავს სხვადასხვა ფუნქციას: კოორდინაციას, მგრძობელობას, მეტყველებას, ინტელქსტს, მეხსიერებას.

ყურადღება!

იწყობა დიდ დილოში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7. 293-37-87; 568 82-09-84.

კადრი



პაპინბაძის (პაპინბაძის, გერმანია) ზოოპარკის თანამშრომლებმა დაინყეს ყველა ცხოველის ყოველწლიური ინვენტარიზაცია. დიდი სახაზავის დახმარებით ისინი ზომავდნენ ამ ლომეშაპის ზრდას გასული წლის განმავლობაში. ხომ არ დადგა მათი ბაპების გაზრდის დრო?

ავტორთა საყურადღებო! რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA მაჩაბლის ქ. №7 ინფორმაცია 66434

გამომცემლობა: შპს „თანადგობა“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79 შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20) uac(უაქ)070.4(479.22) ს-323 ISSN 2233-3853 9 772233 1385001

მთავარი რედაქტორი ალექო ასლანიშვილი 293-37-87; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიზაშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსიანი 599 17-21-21; სპარტაკ მოჰუბია 599 36-00-35 პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაბაძე 514 33-33-24